

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 7

ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები

მიზანი

1. წინამდებარე სტანდარტის მიზანია, საწარმოებს მოსთხოვოს ფინანსური ანგარიშგებისათვის ისეთი განმარტებითი შენიშვნების მომზადება, რომელიც მომხმარებელს საშუალებას მისცემს, შეაფასოს:
 - ა) ფინანსური ინსტრუმენტების მნიშვნელობა საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და შედეგებისათვის; და
 - ბ) ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად წარმოშობილი რისკების ბუნება და დონე, რომლებიც საწარმოზე გავლენას ახდენდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში და საანგარიშგებო თარიღისათვის, ასევე შეაფასოს როგორ მართავს საწარმო ამ რისკებს.
2. ამ სტანდარტის პრინციპები ავსებს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის პრინციპებს, რომლებიც მოცემულია ბასს 32-სა - „ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა“ და ფასს 9-ში - „ფინანსური ინსტრუმენტები“.

მოქმედების სფერო

3. მოცემული სტანდარტი უნდა გამოიყენოს ყველა საწარმომ ნებისმიერი ტიპის ფინანსური ინსტრუმენტისთვის, გარდა:
 - ა) შვილობილ, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში არსებული წილებისა, რომლებიც აღირიცხება ბასს 10-ის - „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“, ბასს 27-ის - „ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“, ან ბასს 28-ის - „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ფასს 10, ბასს 27 ან ბასს 28 საწარმოს ავალდებულებს, ან უფლებას აძლევს, რომ თავისი წილი შვილობილ, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოში აღრიცხოს ფასს 9-ის გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში, საწარმომ უნდა გამოიყენოს ამ სტანდარტის მოთხოვნები, ხოლო რეალური ღირებულებით შეფასებული წილების მიმართ ფასს 13-ის - „რეალური ღირებულების შეფასება“ - მოთხოვნები. საწარმომ მოცემული სტანდარტი ასევე უნდა გამოიყენოს ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომლებიც დაკავშირებულია შვილობილ, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში ფლობილ წილებთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს წარმოებული ინსტრუმენტი აკმაყოფილებს ბასს 32-ში მოცემულ წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებას.
 - ბ) დამქირავებელთა უფლებებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც წარმოიშობა დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების პროგრამებიდან, რისთვისაც გამოიყენება ბასს 19 - „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები“;
 - გ) [გაუქმებულია]
 - დ) სადაზღვევო ხელშეკრულებებისა, როგორც ეს განმარტებულია ფასს 4-ში - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“. თუმცა, წინამდებარე სტანდარტი გამოიყენება ისეთი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისათვის, რომლებიც ჩართულია სადაზღვევო ხელშეკრულებებში, თუ ფასს 9 მოითხოვს, რომ საწარმომ ისინი ცალკე აღრიცხოს. ამასთან, სადაზღვევო ხელშეკრულების ემიტენტმა წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებისთვის, თუ

სადაზღვევო ხელშეკრულების ემიტენტი ფასს 9-ს იყენებს ხელშეკრულებების აღიარებისა და შეფასებისათვის, მაგრამ ფასს 4 უნდა გამოიყენოს, თუ სადაზღვევო ხელშეკრულებების ემიტენტი მათი აღიარებისა და შეფასებისთვის ფასს 4-ის გამოყენებას გადაწყვეტს ფასს 4-ის 4 (დ) პუნქტის შესაბამისად;

- ე) აქციებზე დაფუძნებულ გადახდის ოპერაციებთან დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტებისა, ხელშეკრულებებისა და ვალდებულებებისა, რისთვისაც გამოიყენება ფასს 2 - „*აქციებზე დაფუძნებული გადახდა*“. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც მოცემული სტანდარტი გამოიყენება ისეთი ხელშეკრულებებისათვის, რომლებიც ფასს 9-ის მოქმედების სფეროს განეკუთვნება.
 - ვ) ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელთა კლასიფიცირებაც მოითხოვება წილობრივ ინსტრუმენტებად ბასს 32-ის 16ა და 16ბ, ან 16გ და 16დ პუნქტების შესაბამისად.
4. მოცემული სტანდარტი გამოიყენება აღიარებული და აუღიარებელი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის. აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს იმ ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებიც განეკუთვნება ფასს 9-ის მოქმედების სფეროს. აუღიარებელი ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს ზოგიერთ ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც არ ხვდება ფასს 9-ის მოქმედების სფეროში, არამედ განეკუთვნება წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროს.
5. წინამდებარე სტანდარტი გამოიყენება ისეთი არაფინანსური მუხლის ყიდვის ან გაყიდვის ხელშეკრულებებთან მიმართებით, რომლებიც განეკუთვნება ფასს 9-ის მოქმედების სფეროს.
- 5ა. 35ა-35ო პუნქტებში განსაზღვრული მოთხოვნები, რომლებიც ეხება საკრედიტო რისკის შესახებ განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნებას, გამოიყენება იმ უფლებებთან მიმართებით, რომელთა აღრიცხვასაც ფასს 15 - „*ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან*“ - მოითხოვს ფასს 9-ის შესაბამისად, გაუფასურების შემოსულობის ან ზარალის აღიარების მიზნებისთვის. ამ პუნქტებში, სადაც ნახსენებია ფინანსური აქტივები ან ფინანსური ვალდებულებები, იგულისხმება მხოლოდ ზემოაღნიშნული უფლებები, თუ კონკრეტულად სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ინსტრუმენტების კლასები და განმარტებების დონე

6. როდესაც მოცემული სტანდარტი ინფორმაციის გამჟღავნებას მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების კლასების მიხედვით, საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტები უნდა დააჯგუფოს ისეთ კატეგორიებად, რომლებიც შეესაბამება განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებული ინფორმაციის ბუნებას, ასევე უნდა გაითვალისწინოს ამ ფინანსური ინსტრუმენტების მახასიათებლები. საწარმომ ისეთი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მომხმარებელს, რომ შესაძლებელი იყოს მისი შედარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ მუხლებთან.

ფინანსური ინსტრუმენტების მნიშვნელობა საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და შედეგებისთვის

7. საწარმომ განმარტებით შენიშვნებში ისეთი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს, შეაფასოს ფინანსური ინსტრუმენტების მნიშვნელობა მისი ფინანსური მდგომარეობისა და შედეგებისთვის.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კატეგორიები

8. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ან განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები

თითოეული ქვემოთ განხილული კატეგორიის მიხედვით, როგორც ეს ტერმინები განმარტებულია ფასს 9-ში:

- ა) რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ამასთან, ცალ-ცალკე უნდა იყოს ნაჩვენები (1) თავდაპირველი აღიარებისას, ან შემდგომში ფასს 9-ის 6.7.1 პუნქტის შესაბამისად საწარმოს მიერ, საკუთარი შეხედულებისამებრ, ამგვარად კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები და (2) აქტივები, რომელთა შეფასება რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით სავალდებულოა ფასს 9-ის შესაბამისად;
- ბ)- დ) [გაუქმებულია]
- ე) რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ამასთან, ცალ-ცალკე უნდა იყოს ნაჩვენები (1) თავდაპირველი აღიარებისას, ან შემდგომში ფასს 9-ის 6.7.1 პუნქტის შესაბამისად საწარმოს მიერ, საკუთარი შეხედულებისამებრ, ამგვარად კლასიფიცირებული ფინანსური ვალდებულებები და (2) ვალდებულებები, რომელთა შეფასება რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით სავალდებულოა ფასს 9-ის შესაბამისად;
- ვ) ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები;
- ზ) ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები;
- თ) რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. ამასთან, ცალ-ცალკე უნდა იყოს ნაჩვენები (1) ფინანსური აქტივები, რომლებიც ფასს 9-ის 4.1.2ა პუნქტის შესაბამისად შეფასებულია რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და (2) წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ისეთი ინვესტიციები, რომლებიც საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, ამგვარად აქვს კლასიფიცირებული თავდაპირველი აღიარებისას, ფასს 9-ის 5.7.5 პუნქტის შესაბამისად.

რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები, მოგებაში ან ზარალში ასახვით

9. თუ საწარმოს ფინანსური აქტივი (ან ფინანსური აქტივების ჯგუფი), საკუთარი შეხედულებისამებრ, კლასიფიცირებული აქვს, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, რომელიც სხვა შემთხვევაში შეფასებული იქნებოდა რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ან ამორტიზებული ღირებულებით, მან განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამყდავნოს შემდეგი ინფორმაცია:
- ა) კონკრეტულ ფინანსურ აქტივთან (ან ფინანსური აქტივების ჯგუფთან) დაკავშირებული საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა საწარმოზე (იხ. პუნქტი 36 (ა)) საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
 - ბ) თანხა, რომლითაც მასთან დაკავშირებული რომელიმე საკრედიტო რისკის წარმოებული ან ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტი ამცირებს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ გავლენას (იხ. 36(ბ) პუნქტი);
 - გ) კონკრეტული ფინანსური აქტივის (ან ფინანსური აქტივების ჯგუფის) რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა, როგორც საანგარიშგებო პერიოდის, ისე კუმულაციური, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკში მომხდარ ცვლილებებთან და განსაზღვრულია:
 - (i) როგორც მის რეალურ ღირებულებაში მომხდარი ისეთი ცვლილება, რომელიც მიკუთვნებადი არ არის *საბაზრო რისკის* გამომწვევ ბაზრის პირობების ცვლილებებზე; ან
 - (ii) სხვა მეთოდით, რომელიც საწარმოს რწმენით, უფრო სამართლიანად ასახავს მის რეალურ ღირებულებაში მომხდარ ისეთ ცვლილებას, რომელიც უშუალოდ მიკუთვნებადია ამ აქტივის საკრედიტო რისკის ცვლილებებზე.

საბაზრო რისკის გამომწვევ ბაზრის პირობებში მომხდარი ცვლილებები მოიცავს ემპირიული (საორიენტაციო) საპროცენტო განაკვეთის, საბირჟო საქონლის ფასის, სავალუტო კურსის, ან ფასების ინდექსის ან განაკვეთების ცვლილებებს.

- დ) ნებისმიერი დაკავშირებული საკრედიტო რისკის წარმოებულის ან მსგავსი ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების სიდიდე, რომელიც დაფიქსირდა მოცემული პერიოდის განმავლობაში და ასევე კუმულაციურად, ფინანსური აქტივისთვის ზემოაღნიშნული კლასიფიკაციის მინიჭების შემდეგ.

10. თუ საწარმოს ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირებული აქვს როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით ფასს 9-ის 4.2.2 პუნქტის შესაბამისად და ამ ვალდებულების საკრედიტო რისკში მომხდარი ცვლილებების გავლენა მოეთხოვება, რომ ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (იხ. ფასს 9-ის 5.7.7 პუნქტი), მან უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების კუმულაციური ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია ამ ვალდებულების საკრედიტო რისკში მომხდარ ცვლილებებთან (იხ. ფასს 9-ის 5.7.13-5.7.20 პუნქტები მითითებების გასაცნობად, რომლებიც ეხება ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების გავლენის დადგენას);
- ბ) სხვაობა ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხას შორის, რომლის გადახდაც კრედიტორისთვის საწარმოს ხელშეკრულებით მოეთხოვება ვალდებულების დაფარვის თარიღისთვის;
- გ) დაგროვილი შემოსულობის ან ზარალის თანხები, რომელთა გადატანა მუხლიდან მუხლში საკუთარი კაპიტალის ფარგლებში განხორციელდა პერიოდის განმავლობაში, მათ შორის ამგვარი გადატანის მიზეზები;
- დ) თუ საანგარიშგებო პერიოდის მანძილზე შეწყდა ვალდებულების აღიარება, თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც წარმოდგენილი იყო სხვა სრულ შემოსავალში და რეალიზდა აღიარების შეწყვეტისას.

10ა. თუ საწარმოს ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირებული აქვს როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ფასს 9-ის 4.2.2 პუნქტის შესაბამისად და მოეთხოვება, რომ ვალდებულების რეალურ ღირებულებაში მომხდარი ყველა ცვლილება (მათ შორის, ვალდებულების საკრედიტო რისკში მომხდარი ცვლილებების გავლენა) წარადგინოს მოგებაში ან ზარალში (იხ. ფასს 9-ის 5.7.7 და 5.7.8 პუნქტები), მან უნდა გაამჟღავნოს:

- ა) ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების კუმულაციური ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია ამ ვალდებულების საკრედიტო რისკში მომხდარ ცვლილებებთან (იხ. ფასს 9-ის 5.7.13-5.7.20 პუნქტები მითითებების გასაცნობად, რომლებიც ეხება ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების გავლენის დადგენას); და
- ბ) სხვაობა ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხას შორის, რომლის კრედიტორისთვის გადახდაც საწარმოს მოეთხოვება ხელშეკრულებით ვალდებულების დაფარვის ვადის დადგომისას.

11. გარდა ამისა, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) იმ მეთოდების დეტალური აღწერა, რომლებიც გამოიყენა 9(გ), 10(ა) და 10ა(ა) პუნქტებისა და ფასს 9-ის 5.7.7(ა) პუნქტის მოთხოვნების შესასრულებლად, მათ შორის, ახსნა იმისა, თუ რატომ არის მეთოდი შესაფერისი;
- ბ) თუ საწარმო მიიჩნევს, რომ 9(გ), 10(ა), ან 10ა(ა) პუნქტების, ან ფასს 9-ის 5.7.7(ა) პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ან განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებული ინფორმაცია სამართლიანად არ ასახავს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების ისეთ ცვლილებებს, რომლებიც დაკავშირებულია მისი საკრედიტო რისკის ცვლილებებთან,

მაშინ მან უნდა განმარტოს ამგვარი დასკვნის გამოტანის მიზეზები და ფაქტორები, რომლებსაც თვითონ მიიჩნევს შესაფერისად;

- გ) დეტალური აღწერა მეთოდოლოგიის, რომელიც გამოიყენა იმის დასადგენად, ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებების გავლენის წარმოდგენა სხვა სრულ შემოსავალში, იწვევს თუ არა სააღრიცხვო შეუსაბამობების წარმოქმნას ან გაზრდას მოგებაში ან ზარალში (იხ. ფასს 9-ის პუნქტები 5.7.7 და 5.7.8). თუ საწარმო ვალდებულია, ვალდებულების საკრედიტო რისკში მომხდარი ცვლილებების გავლენა წარმოადგინოს მოგებაში ან ზარალში (იხ. ფასს 9-ის 5.7.8 პუნქტი), განმარტებითი შენიშვნა უნდა მოიცავდეს ფასს 9-ის 5.7.6 პუნქტში აღწერილი ეკონომიკური ურთიერთკავშირის დეტალურ აღწერას.

წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

- 11ა. თუ საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციები, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლასიფიცირებული აქვს, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც დაშვებულია ფასს 9-ის 5.7.5 პუნქტით, მან განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამყდავნოს შემდეგი ინფორმაცია:
- ა) წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული რომელი ინვესტიციებია კლასიფიცირებული, საკუთარი შეხედულებისამებრ. როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით;
- ბ) ამგვარი წარდგენის არჩევანის არგუმენტაცია;
- გ) თითოეული ამგვარი ინვესტიციის რეალური ღირებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- დ) პერიოდის განმავლობაში აღიარებული დივიდენდები ისე, რომ ცალ-ცალკე ჩანდეს ისეთ ინვესტიციებთან დაკავშირებული დივიდენდები, რომელთა აღიარება შეწყდა საანგარიშგებო პერიოდში და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულ ინვესტიციებთან დაკავშირებული დივიდენდები;
- ე) დაგროვილი შემოსულობის ან ზარალის თანხები, რომელთა გადატანა მუხლიდან მუხლში საკუთარი კაპიტალის ფარგლებში განხორციელდა პერიოდის განმავლობაში, მათ შორის ამგვარი გადატანის მიზეზები.
- 11ბ. თუ საწარმომ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შეწყვიტა ისეთ წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციის აღიარება, რომელიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, მან განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამყდავნოს შემდეგი ინფორმაცია:
- ა) ინვესტიციების გასვლის მიზეზები;
- ბ) ამ ინვესტიციების რეალური ღირებულება აღიარების შეწყვეტის თარიღისათვის;
- გ) ინვესტიციების გასვლისას არსებული დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი.

რეკლასიფიკაცია

12-

12ა. [გაუქმებულია]

12ბ. საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამყდავნოს, თუ განუხორციელებია, მიმდინარე ან წინა საანგარიშგებო პერიოდებში, ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია ფასს 9-ის 4.4.1 პუნქტის შესაბამისად. თითოეული ამგვარი შემთხვევისთვის საწარმომ უნდა გაამყდავნოს:

- ა) რეკლასიფიკაციის თარიღი;

- ბ) ბიზნესმოდელის შეცვლის დეტალური ახსნა და საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე მისი ხარისხობრივი გავლენის აღწერა;
 - გ) თანხები, რომლებიც გადატანილი იყო ფინანსური აქტივის თითოეული კატეგორიიდან თითოეულ სხვა კატეგორიაში.
- 12გ. ისეთი ფინანსური აქტივებისთვის, რომელთა რეკლასიფიკაციაც ფასს 9-ის 4.4.1 პუნქტის შესაბამისად განხორციელდა კატეგორიიდან „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და კლასიფიკაციის შეცვლის შემდეგ ეს აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ან რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, საწარმომ რეკლასიფიკაციის შემდგომ თითოეულ საანგარიშგებო პერიოდში, მათი აღიარების შეწყვეტამდე, განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:
- ა) რეკლასიფიკაციის თარიღისათვის განსაზღვრული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი; და
 - ბ) აღიარებული საპროცენტო ამონაგები.
- 12დ. თუ საწარმომ ბოლო საანგარიშგებო თარიღის შემდეგ განახორციელა ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია კატეგორიიდან „რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ და კლასიფიკაციის შეცვლის შემდეგ ეს აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ან კატეგორიიდან „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და კლასიფიკაციის შეცვლის შემდეგ ეს აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, მან განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:
- ა) ამგვარი ფინანსური აქტივების რეალური ღირებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
 - ბ) იმ შემოსულობის ან ზარალის რეალური ღირებულება, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აღიარებოდა მოგებაში ან ზარალში, ან სხვა სრულ შემოსავალში, თუ არ მოხდებოდა ამ ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია.
13. [გაუქმებულია]

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

- 13ა. ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით 13ბ-13გ პუნქტებში ჩამოყალიბებული მოთხოვნები ავსებს წინამდებარე სტანდარტის სხვა მოთხოვნებს და ამ ინფორმაციის წარმოდგენა სავალდებულოა ყველა აღიარებულ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებით, რომელთა ურთიერთგადაფარვა ხორციელდება ბასს 32-ის 42-ე პუნქტის შესაბამისად. ზემოაღნიშნული მოთხოვნები ასევე ეხება ისეთ აღიარებულ ფინანსურ ინსტრუმენტებსაც, რომლებიც ურთიერთგადაფარვას ექვემდებარება იურიდიული ძალის მქონე ურთიერთ-ჩათვლის გენერალური შეთანხმების, ან სხვა ანალოგიური შეთანხმების თანახმად, იმის მიუხედავად, მათი ურთიერთგადაფარვა განხორციელდა თუ არა ბასს 32-ის 42-ე პუნქტის შესაბამისად.
- 13ბ. საწარმომ ისეთი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს, რომელიც მისი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, შეაფასონ ურთიერთგადაფარვის შეთანხმებების გავლენა, ან პოტენციური გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე. ეს მოიცავს საწარმოს მიერ აღიარებული ისეთი ფინანსური აქტივებისა და აღიარებული ფინანსური ვალდებულებების ურთიერთჩათვლის უფლებების გავლენას ან პოტენციურ გავლენას, რომელიც განეკუთვნება 13ა პუნქტის მოქმედების სფეროს.
- 13გ. 13ბ პუნქტში ჩამოყალიბებული მიზნების მისაღწევად, საწარმომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალკე უნდა წარმოადგინოს რაოდენობრივი ინფორმაცია საწარმოს მიერ აღიარებული ისეთი ფინანსური აქტივებისა და აღიარებული ფინანსური ვალდებულებების შესახებ, რომლებიც განეკუთვნება 13ა პუნქტის მოქმედების სფეროს. კერძოდ:
- ა) აღიარებული ფინანსური აქტივებისა და აღიარებული ფინანსური ვალდებულებების მთლიანი თანხები;

- ბ) თანხები, რომელთა ურთიერთგადაფარვა განხორციელდა ბასს 32-ის 42-ე პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად, როდესაც განისაზღვრა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი ნეტო თანხები;
- გ) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი ნეტო თანხები;
- დ) თანხები, რომლებიც ურთიერთგადაფარვას ექვემდებარება იურიდიული ძალის მქონე ურთიერთჩათვლის გენერალური შეთანხმების, ან სხვა ანალოგიური შეთანხმების თანახმად, რომლებიც, სხვა შემთხვევაში, არ მოხვდებოდა 13გ(ბ) პუნქტში, მათ შორის:
 - (i) ისეთ აღიარებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული თანხები, რომლებიც არ აკმაყოფილებს ბასს 32-ის 42-ე პუნქტით განსაზღვრულ ურთიერთგადაფარვის ზოგიერთ, ან არც ერთ კრიტერიუმს; და
 - (ii) თანხები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ უზრუნველყოფასთან (მათ შორის ფულად უზრუნველყოფასთან); და
- ე) წმინდა თანხა, რომელიც დარჩა (გ) პუნქტში მითითებული თანხებიდან (დ) პუნქტში მითითებული თანხების გამორიცხვის შედეგად.

ამ პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია ცხრილის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი ცალ-ცალკე ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, თუ სხვა ფორმატის გამოყენება უფრო მიზანშეწონილი არ არის.

- 13დ. თანხა, რომელიც წარმოდგენილი იქნება 13გ(დ) პუნქტის შესაბამისად ამა თუ იმ ინსტრუმენტთან დაკავშირებით, არ უნდა აღემატებოდეს 13გ(გ) პუნქტის შესაბამისად წარდგენილ თანხებს.
- 13ე. საწარმომ უნდა წარმოადგინოს აღწერილობითი ხასიათის ინფორმაცია ისეთ აღიარებულ ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ურთიერთგადაფარვის უფლებების თაობაზე, რომლებიც იურიდიული ძალის მქონე ურთიერთჩათვლის გენერალური შეთანხმების, ან სხვა ანალოგიური შეთანხმების საგანია და რომლის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება ხდება 13გ(დ) პუნქტის შესაბამისად, მათ შორის ამ უფლებების შინაარსის აღწერა.
- 13ვ. თუ 13ბ-13ე პუნქტებით მოთხოვნილ ინფორმაციას საწარმო წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების რამდენიმე შენიშვნაში, საწარმომ, საჭიროებისამებრ, უნდა მიუთითოს განმარტებითი შენიშვნა, სადაც მოცემულია ინფორმაციის შესაბამისი ნაწილი.

უზრუნველყოფა

- 14. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს:
 - ა) ისეთი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, რომლებიც დაგირავებულია ვალდებულებების ან პირობითი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, მათ შორის თანხები, რომელთა რეკლასიფიკაცია განხორციელდა ფასს 9-ის 3.2.23(ა) პუნქტის შესაბამისად; და
 - ბ) ამ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ვადები და პირობები.
- 15. როდესაც საწარმო ფლობს უზრუნველყოფას (ფინანსური ან არაფინანსური აქტივის სახით) და მისი გაყიდვის ან გადაგირავების უფლება აქვს მაშინაც კი, თუ მესაკუთრე საკუთარ ვალდებულებებს შეასრულებს, მან უნდა გაამჟღავნოს:
 - ა) ამ უზრუნველყოფის რეალური ღირებულება;
 - ბ) ნებისმიერი ისეთი უზრუნველყოფის რეალური ღირებულება, რომელიც გაყიდა ან გადააგირავა და გააჩნია თუ არა საწარმოს მისი უკან დაბრუნების მოვალეობა; და
 - გ) ამ უზრუნველყოფის გამოყენების ვადები და პირობები.

რეზერვის ანგარიში საკრედიტო ზარალისთვის

16. [გაუქმებულია]
- 16ა. იმ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ფასს 9-ის 4.1.2.ა პუნქტის შესაბამისად შეფასებულია რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, არ მცირდება ზარალის რეზერვის თანხით და საწარმომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალკე მუხლის სახით არ უნდა წარმოადგინოს ზარალის რეზერვი, როგორც ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება. თუმცა, საწარმომ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ზარალის რეზერვი.

რთული ფინანსური ინსტრუმენტები მრავალი ჩართული წარმოებული ინსტრუმენტებით

17. თუ საწარმომ გამოუშვა ინსტრუმენტი, რომელსაც გააჩნია როგორც ვალდებულებითი, ასევე წილობრივი კომპონენტი (იხ. ბასს 32, პუნქტი 28-ე) და მას აქვს მრავალი ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის თვისებები, რომელთა ღირებულებები ურთიერთდამოკიდებულია (როგორცაა, მაგალითად, კონვერტირებადი სავალო ინსტრუმენტი გამოსყიდვის პირობით), მან უნდა ახსნას ასეთი თვისებების არსებობა.

ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და დარღვევები

18. საანგარიშგებო თარიღისათვის აღიარებული სესხის გაცემის ვალდებულებებისათვის, საწარმომ უნდა ასახოს:
- ა) დეტალური ინფორმაცია ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის შეუსრულებლობის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა საანგარიშგებო პერიოდის მანძილზე სესხის ძირ თანხასთან, პროცენტთან, სესხის დაფარვის ფონდთან, ან სესხის ვალდებულების დაფარვის პირობებთან დაკავშირებით;
 - ბ) საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული იმგვარი სესხის გაცემის ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომელთათვისაც ადგილი ჰქონდა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობას; და
 - გ) გამოსწორდა თუ არა დარღვევა, ან შეიცვალა თუ არა სასესხო ხელშეკრულების პირობები ხელახალი მოლაპარაკების შედეგად, ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცებამდე.
19. თუ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ადგილი ჰქონდა სასესხო შეთანხმების პირობების ისეთ დარღვევას, რომელიც აღწერილი არ არის მე-18 პუნქტში, საწარმომ იგივე ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს, რომელიც მოითხოვება მე-18 პუნქტით, თუ ეს დარღვევა სესხის გამცემს უფლებას აძლევს, სესხის დაფარვა მოითხოვოს დაჩქარებული წესით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დარღვევა გამოსწორდა, ან მოხდა სესხის პირობების გადასინჯვა და ხელახლა შეთანხმება საანგარიშგებო თარიღისათვის ან მანამდე).

სრული შემოსავლის ანგარიშგება

შემოსავლების, ხარჯების, შემოსულობების ან ზარალის მუხლები

20. საწარმომ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ან ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს შემოსავლების, ხარჯების, შემოსულობებისა და ზარალის შემდეგი მუხლები:
- ა) წმინდა შემოსულობები ან წმინდა ზარალი, რომელიც დაკავშირებულია:
 - (i) ფინანსურ აქტივებთან, ან ფინანსურ ვალდებულებებთან, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით ისე, რომ

ცალ-ცალკე იყოს წარმოდგენილი (1) თავდაპირველი აღიარებისას, ან შემდგომში ფასს 9-ის 6.7.1 პუნქტის შესაბამისად საწარმოს მიერ, საკუთარი შეხედულებისამებრ, ამგვარად კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, ან ფინანსური ვალდებულებები და (2) ფინანსური აქტივები, ან ფინანსური ვალდებულებები, რომელთა შეფასება რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით სავალდებულოა ფასს 9-ის შესაბამისად (მაგალითად, ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც აკმაყოფილებს ფასს 9-ში განსაზღვრულ სავაჭროდ გამიზნული ფინანსური ვალდებულებების განმარტებას). ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, აქვს კლასიფიცირებული, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, საწარმომ ცალ-ცალკე უნდა აჩვენოს სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობის ან ზარალის თანხა და მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხა;

- (ii)-(iv) [გაუქმებულია]
 - (v) ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსურ ვალდებულებებთან;
 - (vi) ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებთან;
 - (vii) წილობრივ ინსტრუმენტში განხორციელებულ ისეთ ინვესტიციებთან, რომლებიც საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, აქვს კლასიფიცირებული, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, 5.7.5 პუნქტის შესაბამისად;
 - (viii) ფინანსურ აქტივებთან, რომლებიც ფასს 9-ის 4.1.2ა პუნქტის შესაბამისად შეფასებულია რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ისე, რომ ცალ-ცალკე იყოს ნაჩვენები პერიოდის განმავლობაში სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობის ან ზარალის თანხა და თანხა, რომელიც დაგროვილი სხვა სრული შემოსავლიდან რეკლასიფიცირებული იყო მოცემული პერიოდის მოგებაში ან ზარალში, აღიარების შეწყვეტის შედეგად;
- ბ) მთლიანი საპროცენტო ამონაგებისა და მთლიანი საპროცენტო ხარჯის თანხა (რომელიც გამოთვლილია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით) ისეთი ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ან, ფასს 9-ის 4.1.2ა პუნქტის შესაბამისად, რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (ისე, რომ ეს თანხები ცალ-ცალკე იყოს ნაჩვენები), ან ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- გ) საკომისიო გადასახდელის შემოსავალი და ხარჯი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრაში მონაწილე თანხების გარდა), რომელიც წარმოიშობა:
- (i) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებიდან, რომლებიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით; და
 - (ii) მინდობილი საკუთრების მართვის ან სხვა სახის ფიდუციარული საქმიანობიდან, რომლის შედეგადაც აქტივების განკარგვა ან ინვესტირება ხდება ფიზიკური პირების, საინვესტიციო ფონდების, საპენსიო ფონდებისა და სხვა ინსტიტუციების სახელით;
- დ) [გაუქმებულია]
- ე) [გაუქმებულია]
- 20ა. საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა აჩვენოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებული იმ შემოსულობის ან ზარალის თანხების ანალიზი, რომელიც წარმოიქმნა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად;

გად, ისე, რომ ცალკე იყოს გამოყოფილი ამ ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი. განმარტებით შენიშვნაში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტის მიზეზებს.

სხვა განმარტებითი შენიშვნები

სააღრიცხვო პოლიტიკა

21. ბასს 1-ის - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ (შესწორებული 2007 წელს) - 117-ე პუნქტის შესაბამისად, საწარმო ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტავს ყველა მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკას, ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებულ შეფასების საფუძველს (ან საფუძვლებს) და ასევე ფინანსური ანგარიშგების გასაგებად საჭირო სხვა სააღრიცხვო პოლიტიკას.

ჰეჯირების აღრიცხვა

- 21ა. ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული 21ბ-24ვ პუნქტების მოთხოვნები საწარმომ უნდა გამოიყენოს ისეთ რისკის პოზიციებთან მიმართებით, რომლებიც მას ჰეჯირებული აქვს და რომელთათვისაც ირჩევს ჰეჯირების აღრიცხვის მიდგომის გამოყენებას. ჰეჯირების აღრიცხვის შესახებ საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:
- ა) საწარმოს რისკის მართვის სტრატეგია და როგორ იყენებს საწარმო მას რისკების მართვისთვის;
 - ბ) რა გავლენა შეიძლება მოახდინოს საწარმოს მიერ განხორციელებულმა ჰეჯირების ოპერაციებმა მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდეზე, მათი წარმოქმნის ვადებსა და დაკავშირებულ განუსაზღვრელობაზე; და
 - გ) რა გავლენა მოახდინა ჰეჯირების აღრიცხვამ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე, სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაზე.
- 21ბ. საწარმომ მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს ან ფინანსური ანგარიშგების ერთი შენიშვნის ფარგლებში, ან ფინანსური ანგარიშგების ცალკე განყოფილებაში. საწარმოს არ ევალება სადმე სხვაგან უკვე წარდგენილი ინფორმაციის გამეორება, იმ პირობით, თუ ეს ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში გაერთიანებული იქნება სხვა დოკუმენტზე ურთიერთ-მინიშნების გზით, სადაც წარმოდგენილია აღნიშნული ინფორმაცია, როგორცაა, მაგალითად ხელმძღვანელობის კომენტარები, ან რისკების ანგარიში, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომია ისეთივე პირობებითა და იმავე დროს, როგორც ფინანსური ანგარიშგება. თუ ეს ინფორმაცია არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში სხვა დოკუმენტზე მითითებით, ფინანსური ანგარიშგება სრულყოფილი არ იქნება.
- 21გ. იმ შემთხვევაში, როდესაც, 22ა-24ვ პუნქტების თანახმად, საწარმო ვალდებულია მოთხოვნილი ინფორმაცია რისკების კატეგორიების მიხედვით გაამჟღავნოს, საწარმომ რისკის თითოეული კატეგორია უნდა განსაზღვროს იმ რისკის პოზიციის საფუძველზე, რომლის ჰეჯირებაც გადაწყვეტილი აქვს საწარმოს და რომლის მიმართაც გამოიყენება ჰეჯირების აღრიცხვის მიდგომა. საწარმომ რისკების კატეგორიები ერთნაირად უნდა განსაზღვროს ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებული ყველა განმარტებითი შენიშვნისთვის.
- 21დ. 21ა პუნქტში ჩამოყალიბებული მიზნების მისაღწევად, საწარმომ თვითონ უნდა განსაზღვროს (ქვემოთ მითითებული შემთხვევების გარდა), რამდენად დეტალური ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს, რა მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს მოთხოვნილი ინფორმაციის ცალკეულ ასპექტს, მონაცემების აგრეგირებისა თუ დეზაგრეგირების შესაფერისი დონე და დასჭირდებათ თუ არა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დამატებითი ახსნა განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილი რაოდენობრივი ინფორმაციის შესაფასებლად. თუმცა, საწარმომ ინფორმაციის აგრეგირებისა და დეზაგრეგირებისთვის იგივე დონე უნდა გამოიყენოს, რომელსაც იყენებს

შესაბამისი ინფორმაციის გამჟღავნების სხვა მოთხოვნების შესასრულებლად წინამდებარე სტანდარტისა და ფასს 13-ის - „რეალური ღირებულების შეფასება“ - შესაბამისად.

რისკის მართვის სტრატეგია

22. [გაუქმებულია]
- 22ა. საწარმომ რისკის მართვის სტრატეგია უნდა ახსნას თითოეული კატეგორიის რისკის მიხედვით იმ რისკის პოზიციებისთვის, რომელთა ჰეჯირებაც გადაწყვეტილი აქვს საწარმოს და რომლის მიმართაც გამოიყენება ჰეჯირების აღრიცხვის მიდგომა. ზემოაღნიშნულმა განმარტებებმა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალება უნდა მისცეს, რომ შეაფასოს (მაგალითად):
- ა) როგორ წარმოიშობა თითოეული რისკი;
 - ბ) როგორ მართავს საწარმო თითოეულ რისკს; ამასთან დაკავშირებით, საწარმომ უნდა განმარტოს, მთელი მუხლის ჰეჯირებას ახდენს ყველა რისკისთვის, თუ მხოლოდ რისკიანი კომპონენტის (ან კომპონენტების) და რატომ;
 - გ) რა დონის რისკებს მართავს საწარმო.
- 22ბ. 22ა პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად, საწარმოს მიერ გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს (თუმცა, შესაძლოა არ შემოიფარგლებოდეს ამით) შემდეგი ტიპის აღწერილობით ინფორმაციას:
- ა) ჰეჯირების ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენება რისკების ჰეჯირებისთვის და როგორ გამოიყენება ისინი;
 - ბ) როგორ ადგენს საწარმო ეკონომიკურ ურთიერთობას ჰეჯირებულ მუხლსა და ჰეჯირების ინსტრუმენტს შორის, ჰეჯირების ეფექტურობის შეფასების მიზნებისთვის; და
 - გ) როგორ ადგენს საწარმო ჰეჯირების კოეფიციენტს და რა არის ჰეჯირების არაეფექტურობის წყაროები.
- 22გ. როდესაც საწარმო კონკრეტულ რისკიან კომპონენტს საკუთარი შეხედულებისამებრ მიანიჭებს ჰეჯირებული მუხლის კლასიფიკაციას (იხ. ფასს 9-ის 6.3.7 პუნქტი), მან 22ა და 22ბ პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაციის გარდა, ასევე უნდა გაამჟღავნოს შემდეგი სახის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაცია:
- ა) როგორ ადგენს საწარმო რისკიან კომპონენტს, რომელსაც საკუთარი შეხედულებისამებრ ანიჭებს ჰეჯირებული მუხლის კლასიფიკაციას (მათ შორის, რისკიან კომპონენტსა და მთლიან მუხლს შორის ურთიერთკავშირის ხასიათის აღწერა); და
 - ბ) როგორ არის დაკავშირებული რისკიანი კომპონენტი მთლიან მუხლთან (მაგალითად, საკუთარი შეხედულებისამებრ ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირებულ რისკიან კომპონენტზე, ისტორიულად, საშუალოდ მოდის მთლიანი მუხლის რეალური ღირებულების ცვლილების 80%).
- მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდე, მათი წარმოქმნის ვადები და დაკავშირებული განუსაზღვრელობა*
23. [გაუქმებულია]
- 23ა. იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საწარმოს ეხება 23გ პუნქტით გათვალისწინებული განთავისუფლება, მან რისკის კატეგორიების მიხედვით უნდა გაამჟღავნოს ისეთი რაოდენობრივი ინფორმაცია, რომელიც მისი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, შეაფასონ ჰეჯირების ინსტრუმენტების ვადები და პირობები და რა გავლენას ახდენს ისინი საწარმოს მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდეზე, მათი წარმოქმნის ვადებსა და დაკავშირებულ განუსაზღვრელობაზე.
- 23ბ. 23ა პუნქტის მოთხოვნის შესასრულებლად, საწარმომ უნდა წარმოადგინოს ჩაშლა, სადაც გამჟღავნდება:

- ა) ჰეჯირების ინსტრუმენტის ნომინალური ღირებულების ვადების მოკლე დახასიათება; და
 - ბ) თუ შესაფერისია, ჰეჯირების ინსტრუმენტის საშუალო ფასი ან განაკვეთი (მაგალითად, აღსრულების, ან ფორვარდული ფასები და ა.შ).
- 23გ. იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო ხშირად აწარმოებს ჰეჯირების ურთიერთობის განახლებას (ე.ი. წყვეტს და ხელახლა იწყებს) იმის გამო, რომ ხშირად იცვლება როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტი, ასევე ჰეჯირებული მუხლი (ე.ი. საწარმო იყენებს დინამიკურ პროცესს, რომლის დროსაც დიდ ხანს ერთი და იგივე არ არის არც რისკის პოზიცია და არც ჰეჯირების ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება ამ რისკის პოზიციის მართვისთვის, როგორც აღწერილია ფასს 9-ის 24.5.24(ბ) პუნქტში მითითებულ მაგალითში):
- ა) საწარმო თავისუფლდება 23ა და 23ბ პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნისგან;
 - ბ) საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი განმარტებები:
 - (i) ინფორმაცია რისკის მართვის საბოლოო სტრატეგიის შესახებ, რომელიც უკავშირდება ამგვარ ჰეჯირების ურთიერთობებს;
 - (ii) აღწერა იმისა, თუ როგორ ასახავს საწარმო რისკების მართვის სტრატეგიას ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენებითა და ჰეჯირების ურთიერთობის საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებით; და
 - (iii) ინფორმაცია იმაზე, თუ რამდენად ხშირად წყვეტს და შემდეგ ისევ ხელახლა იწყებს ჰეჯირების ურთიერთობებს, რაც ამგვარი ჰეჯირების ურთიერთობების მართვის პროცესის ნაწილია.
- 23დ. საწარმომ რისკების კატეგორიების მიხედვით უნდა გაამჟღავნოს ჰეჯირების არაეფექტურობის წყაროები, რომლებიც მოსალოდნელია, რომ გავლენას იქონიებს ჰეჯირების ურთიერთობაზე მისი ვადის განმავლობაში.
- 23ე. თუ ჰეჯირების ურთიერთობაში წარმოიქმნება ჰეჯირების არაეფექტურობის სხვა წყაროები, საწარმომ აღნიშნული წყაროები უნდა გაამჟღავნოს რისკების კატეგორიების მიხედვით და ახსნას მათი ზემოქმედებით განპირობებული ჰეჯირების არაეფექტურობა.
- 23ვ. ფულადი ნაკადების ჰეჯირებასთან დაკავშირებით, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ყველა პროგნოზირებული გარიგება, რომლის მიმართაც წინა პერიოდში გამოიყენა ჰეჯირების აღრიცხვის მიდგომა, მაგრამ რომლის გამეორებაც მოსალოდნელი აღარ არის.

ჰეჯირების აღრიცხვის გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე

24. [გაუქმებულია]
- 24ა. საწარმომ ცხრილის სახით უნდა წარმოადგინოს შემდეგი ოდენობები, რომლებიც დაკავშირებულია ჰეჯირების ინსტრუმენტებთან და საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებულ მუხლებთან, თითოეული ტიპის ჰეჯირებისთვის (რეალური ღირებულების ჰეჯირება, ფულადი ნაკადების ჰეჯირება, ან უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებული ნეტო ინვესტიციის ჰეჯირება), რისკების კატეგორიების მიხედვით:
- ა) ჰეჯირების ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებები (ფინანსური აქტივები ფინანსური ვალდებულებებისგან განცალკევებით უნდა იყოს წარმოდგენილი);
 - ბ) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლი, რომელიც მოიცავს ჰეჯირების ინსტრუმენტს;
 - გ) იმ ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილება, რომელიც გამოიყენება მოცემულ პერიოდში ჰეჯირების არაეფექტურობის აღიარების საფუძველად; და
 - დ) ჰეჯირების ინსტრუმენტების ნომინალური ოდენობები (მათ შორის, რაოდენობრივი მონაცემები, როგორცაა, ტონები, ან კუბური მეტრები).

24ბ. საწარმომ თითოეული ტიპის ჰეჯირებისთვის ცხრილის სახით უნდა გაამჟღავნოს ჰეჯირებულ მუხლებთან დაკავშირებული შემდეგი თანხები, რისკების კატეგორიების მიხედვით:

- ა) რეალური ღირებულების ჰეჯირებასთან დაკავშირებით:
- (i) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული ჰეჯირებული მუხლის საბალანსო ღირებულება (ფინანსური აქტივები ფინანსური ვალდებულებებისგან განცალკევებით უნდა იყოს წარმოდგენილი);
 - (ii) ჰეჯირებულ მუხლთან დაკავშირებით დაგროვილი, ჰეჯირების ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ჰეჯირების კორექტირებები, რომლებიც შესულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული ჰეჯირებული მუხლის საბალანსო ღირებულებაში (ფინანსური აქტივები ფინანსური ვალდებულებებისგან განცალკევებით უნდა იყოს წარმოდგენილი);
 - (iii) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლი, რომელიც მოიცავს ჰეჯირებულ მუხლს;
 - (iv) იმ ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილება, რომელიც გამოიყენება მოცემულ პერიოდში ჰეჯირების არაეფექტურობის აღიარების საფუძველად; და
 - (v) ჰეჯირების ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ჰეჯირების კორექტირებების დაგროვილი ოდენობა, რომელიც დარჩენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნებისმიერ ისეთ ჰეჯირების მუხლთან დაკავშირებით, რომელთა კორექტირებაც შეწყდა ჰეჯირების შემოსულობით ან ზარალით ფასს 9-ის 6.5.10 პუნქტის შესაბამისად.
- ბ) ფულადი ნაკადების ჰეჯირებასა და უცხოურ ქვედანაყოფში ფლობილი ნეტო ინვესტიციის ჰეჯირებასთან დაკავშირებით:
- (i) იმ ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილება, რომელიც გამოიყენება მოცემულ პერიოდში ჰეჯირების არაეფექტურობის აღიარების საფუძველად (ე.ი. ფულადი ნაკადების ჰეჯირებისთვის - ღირებულების ცვლილება, რომელიც საწარმომ გამოიყენა აღიარებული ჰეჯირების არაეფექტურობის დასადგენად, ფასს 9-ის 6.5.11(გ) ქვეპუნქტის შესაბამისად);
 - (ii) ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვის ანგარიშისა და უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების რეზერვის ანგარიშის ნაშთები ისეთი ჰეჯირებისთვის, რომლებიც გრძელდება და ასახება ფასს 9-ის 6.5.11 და 6.5.13(ა) პუნქტების შესაბამისად; და
 - (iii) ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვის ანგარიშისა და უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების რეზერვის ანგარიშის დარჩენილი ნაშთები, რომლებიც წარმოიშვა ჰეჯირების ისეთი ურთიერთობებიდან, რომლისთვისაც აღარ გამოიყენება ჰეჯირების აღრიცხვის მიდგომა.

24გ. საწარმომ თითოეული ტიპის ჰეჯირებისთვის ცხრილის სახით უნდა გაამჟღავნოს შემდეგი თანხები, რისკების კატეგორიების მიხედვით:

- ა) რეალური ღირებულების ჰეჯირებასთან დაკავშირებით:
- (i) ჰეჯირების არაეფექტურობა - ე.ი. სხვაობა ჰეჯირების ინსტრუმენტიდან წარმოქმნილ ჰეჯირების შემოსულობას/ზარალსა და ჰეჯირებულ მუხლს შორის - რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში (ან სხვა სრულ შემოსავალში ისეთი წილობრივი ინსტრუმენტის ჰეჯირებასთან დაკავშირებით, რომლისთვისაც საწარმომ გადაწყვიტა რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებების ასახვა სხვა სრულ შემოსავალში, ფასს 9-ის 5.7.5 პუნქტის შესაბამისად); და
 - (ii) სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლი, რომელიც მოიცავს აღიარებულ ჰეჯირების არაეფექტურობას.

- ბ) ფულადი ნაკადების ჰეჯირებასა და უცხოურ ქვედანაყოფში ფლობილი ნეტო ინვესტიციის ჰეჯირებასთან დაკავშირებით:
- (i) საანგარიშგებო პერიოდში წარმოქმნილი ჰეჯირების შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში;
 - (ii) მოგებაში ან ზარალში აღიარებული ჰეჯირების არაეფექტურობა;
 - (iii) სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლი, რომელიც მოიცავს აღიარებულ ჰეჯირების არაეფექტურობას;
 - (iv) თანხა, რომელიც გადატანილია ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვის ანგარიშიდან, ან საკურსო სხვაობის რეზერვის ანგარიშიდან მოგებაში ან ზარალში, როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირება (იხ. ბასს 1) (ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს თანხები, რომელთა მიმართაც წინათ გამოიყენებოდა ჰეჯირების აღრიცხვის მიდგომა, მაგრამ მათთან დაკავშირებით მომავალში მოსალოდნელი აღარ არის ჰეჯირებული ფულადი ნაკადების წარმოშობა, რომელთა გადატანა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ჰეჯირებულმა მუხლმა გავლენა მოახდინა მოგებაზე ან ზარალზე);
 - (v) სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლი, რომელიც მოიცავს რეკლასიფიკაციის კორექტირების თანხას (იხ. ბასს 1); და
 - (vi) ნეტო პოზიციების ჰეჯირებასთან დაკავშირებით - ჰეჯირების შემოსულობა ან ზარალი, რომელიც ცალკე მუხლად არის ასახული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (იხ. ფასს 9-ის 6.6.4 პუნქტი).
- 24დ. როდესაც ჰეჯირების ურთიერთობების მოცულობა, რომლის მიმართაც გამოიყენება 23გ პუნქტით გათვალისწინებული განთავისუფლება, ადეკვატურად არ ასახავს პერიოდის შესაბამისი ჰეჯირების ურთიერთობების მოცულობას (ე.ი საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული მოცულობა არ ასახავს პერიოდის მოცულობებს), საწარმომ უნდა გაამჟღავნოს თვითონ ეს ფაქტი და ახსნას მიზეზები, რის გამოც გამოიტანა დასკვნა ზემოაღნიშნული არაადეკვატურობის შესახებ.
- 24ე. საწარმომ ბასს 1-ის შესაბამისად უნდა წარმოადგინოს საკუთარი კაპიტალის თითოეული კომპონენტისთვის შემაჯერებელი ინფორმაცია და ასევე სხვა სრული შემოსავლის ანალიზი, შემდეგის გათვალისწინებით:
- ა) როგორც მინიმუმი, ერთმანეთისგან უნდა იყოს გამიჯნული ოდენობები, რომლებიც უკავშირდება 24გ(ბ)(i) და (ბ)(iv) ქვეპუნქტებით განსაზღვრულ, ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს, ასევე თანხები, რომლებიც აღირიცხება ფასს 9-ის 6.5.11(დ)(i) და (დ)(iii) პუნქტების შესაბამისად;
 - ბ) გამიჯნული უნდა იყოს ისეთი ოფციონების დროით ღირებულებასთან დაკავშირებული თანხები, რომლის მეშვეობითაც ხდება ოპერაციასთან დაკავშირებული ჰეჯირებული მუხლების ჰეჯირება და ისეთი ოფციონების დროით ღირებულებასთან დაკავშირებული თანხები, რომლის მეშვეობითაც ხდება დროის პერიოდთან დაკავშირებული ჰეჯირებული მუხლების ჰეჯირება, როდესაც საწარმო ოფციონის დროით ღირებულებას აღრიცხავს ფასს 9-ის 6.5.15 პუნქტის შესაბამისად; და
 - გ) გამიჯნული უნდა იყოს ფორვარდული ხელშეკრულებების ფორვარდულ ელემენტებთან დაკავშირებული თანხები და ისეთი ფინანსური ინსტრუმენტების უცხოური ვალუტის საბაზისო სპრედები, რომლის მეშვეობითაც ხდება ოპერაციასთან დაკავშირებული ჰეჯირებული მუხლების ჰეჯირება და ფორვარდული ხელშეკრულებების ფორვარდულ ელემენტებთან დაკავშირებული თანხები და ისეთი ფინანსური ინსტრუმენტების უცხოური ვალუტის საბაზისო სპრედები, რომლის მეშვეობითაც ხდება დროის პერიოდთან დაკავშირებული ჰეჯირებული მუხლების ჰეჯირება, როდესაც საწარმო ამ ოდენობებს აღრიცხავს ფასს 9-ის 6.5.16 პუნქტის შესაბამისად.
- 24ვ. საწარმომ 24ე პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს ცალ-ცალკე, რისკების კატეგორიების მიხედვით. რისკების მიხედვით ამგვარი დეზაგრეგირებული ინფორმაციის გამჟღავნება შესაძლებელია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

საკრედიტო რისკის მქონე პოზიციის საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირების შესაძლებლობა, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“

- 24ბ. თუ საწარმო ფინანსურ ინსტრუმენტს ან მის ნაწილს საკუთარი შეხედულებისამებრ მიანიჭებს კლასიფიკაციას „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით იმის გამო, რომ ამ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მართვისთვის საკრედიტო რისკის წარმოებულს იყენებს, მან უნდა გაამყლავნოს შემდეგი ინფორმაცია:
- ა) საკრედიტო რისკის წარმოებულებთან დაკავშირებით, რომლებიც საწარმომ გამოიყენა ისეთი ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკის მართვისთვის, რომლებიც ფასს 9-ის 6.7.1 პუნქტის შესაბამისად საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებულია, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით - თითოეული ნომინალური ღირებულებისა და რეალური ღირებულების საწყისი და საბოლოო ნაშთების შეჯერება;
 - ბ) შემოსულობა და ზარალი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში ფასს 9-ის 6.7.1 პუნქტის შესაბამისად, ფინანსური ინსტრუმენტის ან მისი ნაწილის საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირების შედეგად რეალური ღირებულებით შეფასებულ კატეგორიად, მოგებაში ან ზარალში ასახვით; და
 - გ) ფინანსური ინსტრუმენტის ან მისი ნაწილის რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასების შეწყვეტისას - ამ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება, რომელიც გახდა მისი საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის 6.7.4 პუნქტის შესაბამისად და ასევე შესაბამისი ნომინალური, ან ძირი თანხა (იმ შესაძარისი ინფორმაციის გარდა, რომლის გამყლავნებაც საწარმოს მოეთხოვება ბასს 1-ის შესაბამისად, საწარმოს არ ევალება ზემოაღნიშნული ინფორმაციის გამყლავნება შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში).

რეალური ღირებულება

25. იმ გამონაკლისის გარდა, რომელიც განსაზღვრულია 29-ე პუნქტში, საწარმომ ყველა სხვა შემთხვევაში ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების თითოეული კატეგორიისათვის (იხ. მე-6 პუნქტი) რეალური ღირებულება იმგვარად უნდა წარმოადგინოს, რომ შესაძლებელი იყოს შედარება საბალანსო ღირებულებასთან.
26. რეალური ღირებულების წარმოსაჩენად, საწარმომ ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კატეგორიებად უნდა დააჯგუფოს, მაგრამ მათი ურთიერთგადაფარვა მხოლოდ ისეთი მოცულობით უნდა განახორციელოს, როგორც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არის ურთიერთგადაფარული მათი საბალანსო ღირებულება.
- 27-27ბ. [გაუქმებულია]
28. ზოგიერთ შემთხვევაში, საწარმო არ აღიარებს ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების თავდაპირველი აღიარებისას შემოსულობას, ან ზარალს, ვინაიდან მისი რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების აქტიური ბაზრის კოტირებული ფასით (ე.ი. 1-ლი დონის ამოსავალი მონაცემები) და არც შეფასების ისეთ მეთოდს ეყრდნობა, რომელშიც გამოიყენება მხოლოდ ბაზრებზე დაკვირვებადი მონაცემები (იხ. ფასს 9-ის ბ5.1.2ა პუნქტი). ასეთ შემთხვევაში, საწარმომ თითოეული კატეგორიის ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების მიხედვით უნდა გაამყლავნოს შემდეგი ინფორმაცია:
- ა) სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოიყენა თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის განსხვავების თანხის მოგებაში ან ზარალში აღიარებისთვის, რათა აისახოს ისეთ ფაქტორებში მომხდარი ცვლილებები (მათ შორის დროის ფაქტორში), რომელსაც ბაზრის მონაწილეები

გაითვალისწინებდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის დადგენისას (იხ. ფასს 9-ის 85.1.2(ბ) პუნქტი); და

- ბ) მთლიანი განსხვავების თანხა, რომელიც მოგებაში ან ზარალში უნდა აღიარდეს პერიოდის დასაწყისში და პერიოდის ბოლოს და ამ სხვაობის ნაშთში მომხდარი ცვლილებების შემაჯერებელი ინფორმაცია;
- გ) რატომ დაასკვნა საწარმომ, რომ გარიგების ფასი არ წარმოადგენდა რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებას, მათ შორის იმ მტკიცებულებების აღწერა, რომელიც ასაბუთებს რეალურ ღირებულებას.

29. რეალური ღირებულების გამჟღავნება არ მოითხოვება:

- ა) როდესაც საბალანსო ღირებულება მიახლოებით რეალური ღირებულების ტოლია, მაგალითად, ისეთი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, როგორცაა მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები და ვალდებულებები;
- ბ) [გაუქმებულია]
- გ) ისეთი ხელშეკრულებისთვის, რომელიც შეიცავს დისკრეციული მონაწილეობის პირობას (როგორც აღწერილია ფასს 4-ში), თუ ამ პირობის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია; ან
- დ) საიჯარო ვალდებულებებისთვის.

30. 29(გ) პუნქტში აღწერილი შემთხვევისთვის საწარმომ ისეთი ინფორმაცია უნდა გამჟღავნოს, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმარება, თვითონ განსაჯონ ამ ხელშეკრულებების საბალანსო ღირებულებასა და მათ რეალურ ღირებულებას შორის შესაძლო განსხვავების ხარისხი, მათ შორის:

- ა) თვითონ ის ფაქტი, რომ ამ ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესახებ ინფორმაცია იმიტომ არ არის წარმოდგენილი, რომ შეუძლებელი იყო მისი საიმედოდ შეფასება;
- ბ) ფინანსური ინსტრუმენტებისა და მათი საბალანსო ღირებულებების აღწერა და იმის ახსნა, რატომ არის შეუძლებელი მათი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება;
- გ) ინფორმაცია ამ ინსტრუმენტების ბაზრის შესახებ;
- დ) ინფორმაცია იმის შესახებ, აპირებს თუ არა საწარმო ამ ფინანსური ინსტრუმენტების დათმობას და თუ აპირებს, როგორ; და
- ე) თუ შეწყდა ისეთი ფინანსური ინსტრუმენტის აღიარება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება წინათ შეუძლებელი იყო, საწარმომ უნდა გამჟღავნოს თავად ეს ფაქტი, გამჟღავნოს აღიარების შეწყვეტის მომენტისათვის არსებული მისი საბალანსო ღირებულება და აღიარებული შემოსულობის ან ზარალის ოდენობა.

ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკების ბუნება და დონე

31. საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა გამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს, შეაფასოს ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი ისეთი რისკების ბუნება და დონე, რომლებიც საწარმოზე გავლენას ახდენდა საანგარიშგებო თარიღისათვის.

32. 32-42-ე პუნქტებში მოთხოვნილი განმარტებების აქცენტი გადატანილია ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილ რისკებზე და როგორ განხორციელდა ამ რისკების მართვა. ეს რისკები, როგორც წესი, მოიცავს საკრედიტო რისკს, *ლიკვიდობის რისკს* და საბაზრო რისკს, მაგრამ მართო ამით არ შემოიფარგლება.

32ა. რაოდენობრივ ინფორმაციასთან დაკავშირებული ხარისხობრივი ინფორმაციის გამჟღავნება მომხმარებლებს ამ ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირების საშუალებას აძლევს და, მამასადაამე, მომხმარებლები შეძლებენ ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოქმნილი

რისკების ხასიათისა და დონის შესახებ საერთო წარმოდგენის შექმნას. ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის ურთიერთქმედება ხელს უწყობს ისეთი ინფორმაციის მიწოდებას მომხმარებლებისთვის, რომლებიც მათ საწარმოს რისკების შეფასების საშუალებას მისცემს.

ხარისხობრივი ინფორმაციის გამჟღავნება

33. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკების თითოეული კატეგორიისათვის საწარმომ უნდა წარმოადგინოს:
- ა) საწარმოზე რისკის გავლენისა და მისი წარმოშობის შესახებ;
 - ბ) რისკის მართვის მიზნების, პოლიტიკისა და პროცედურების და რისკის შესაფასებლად გამოყენებული მეთოდების შესახებ; და
 - გ) (ა) ან (ბ)-ში მომხდარი ცვლილებები წინა პერიოდის შემდეგ.

რაოდენობრივი ინფორმაციის გამჟღავნება

34. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკების თითოეული კატეგორიისათვის საწარმომ უნდა წარმოადგინოს:
- ა) რაოდენობრივი მონაცემების მოკლე მიმოხილვა, რომლებიც ეხება საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმოზე ამ რისკის გავლენას. აღნიშნული განმარტებები უნდა ეყრდნობოდეს იმავე ინფორმაციას, რომელიც თვითონ საწარმოში მიეწოდება უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პერსონალს (როგორც ეს განმარტებულია ბასს 24-ში - „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“), მაგალითად, საწარმოს დირექტორთა საბჭოს ან მთავარ აღმასრულებელ პირს.
 - ბ) 35ა-42 პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაცია ისეთი დონით, რომელიც ნაჩვენებია არ არის (ა) პუნქტის მიხედვით;
 - გ) რისკის კონცენტრაცია, თუ ეს არ ჩანს (ა) და (ბ) ქვეპუნქტების შესაბამისად წარმოდგენილი ინფორმაციიდან.
35. თუ საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით წარმოდგენილი რაოდენობრივი მონაცემები არ ასახავს საწარმოზე რისკის გავლენის იმავე ხარისხს, რასაც ადგილი ჰქონდა საანგარიშგებო პერიოდის მანძილზე, საწარმომ დამატებით უნდა წარმოადგინოს სხვა რეპრეზენტაციული ინფორმაცია.

საკრედიტო რისკი

გამოყენების სფერო და მიზნები

- 35ა. საწარმომ 35ვ-35ო პუნქტებში განსაზღვრული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები უნდა გამოიყენოს იმ ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომელთა მიმართაც ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები გამოიყენება. თუმცა:
- ა) სავაჭრო მოთხოვნების, სახელშეკრულებო აქტივებისა და საიჯარო მოთხოვნების შემთხვევაში 35კ(ა) პუნქტი გამოიყენება იმ სავაჭრო მოთხოვნების, სახელშეკრულებო აქტივების ან საიჯარო მოთხოვნებისთვის, რომელთან მიმართებაშიც ფასს 9-ის 5.5.15 პუნქტის შესაბამისად აღიარებულია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, თუ ეს ფინანსური აქტივები მოდიფიცირებულია 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების პირობებში; და
 - ბ) პუნქტი 35ლ(ბ) არ ვრცელდება საიჯარო მოთხოვნებზე.
- 35ბ. 35ვ-35ო პუნქტების შესაბამისად, საკრედიტო რისკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებამ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალება უნდა მისცეს, ნათელი წარმოდგენა შეიქმნან, თუ რა გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი სამომავლო ფულადი ნაკადების ოდე-

ნობაზე, მათი წარმოქმნის ვადებსა და დაკავშირებულ განუსაზღვრელობაზე. ამ მიზნის მისაღწევად, საწარმომ საკრედიტო რისკის შესახებ განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამ-
ქლავნოს:

- ა) ინფორმაცია საწარმოს საკრედიტო რისკის მართვის პრაქტიკისა და ასევე იმის შესახებ, როგორ არის ეს პრაქტიკა დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებასა და შეფასებასთან, მათ შორის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდები, დაშვებები და ინფორმაცია;
- ბ) ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, შეაფასონ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან დაკავშირებით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები, მათ შორის მოსალო-
დნელი საკრედიტო ზარალის სიდიდის ცვლილებები და აღნიშნული ცვლილებების გამომწვევი მიზეზები; და
- გ) ინფორმაცია საკრედიტო რისკის პოზიციის შესახებ (მაგალითად, საწარმოს ფინან-
სური აქტივების თანდაყოლილი საკრედიტო რისკი და სესხის გაცემის ვალდებ-
ულობები), მათ შორის, მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის კონცენტრაციების შესახებ.

35გ. საწარმომ არ ევალუა სადმე სხვაგან უკვე წარდგენილი ინფორმაციის გამოვლენა, იმ პირობით, თუ ეს ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში გაერთიანებული იქნება სხვა დოკუმენტზე ურთიერთმინიშნების გზით, სადაც წარმოდგენილია აღნიშნული ინფორმაცია, როგორცაა, მაგალითად ხელმძღვანელობის კომენტარები, ან რისკების ანგარიში, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომია ისეთივე პირობებითა და იმავე დროს, როგორც ფინანსური ანგარიშგება. თუ ეს ინფორმაცია არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში სხვა დოკუმენტზე მითითებით, ფინანსური ანგარიშგება სრულყოფილი არ იქნება.

35დ. 35ბ პუნქტში ჩამოყალიბებული მიზნის მისაღწევად, საწარმომ თვითონ უნდა განსაზღვროს (თუ სხვაგვარად არ იქნება დაზუსტებული), რამდენად დეტალური ინფორმაცია უნდა გაამ-
ქლავნოს, რა მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს მოთხოვნილი ინფორმაციის ცალკეულ ასპექტს, ასევე მონაცემების აგრეგირებისა თუ დეზაგრეგირების შესაფერისი დონე და დასჭირდებათ თუ არა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დამატებით სხვა ახსნა-განმარტებები, განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილი რაოდენობრივი ინფორმაციის შესაფასებლად.

35ე. თუ 35გ-35ო პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია საკმარისი არ აღმოჩნდება 35ბ პუნქტში განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, საწარმომ უნდა გაამქლავნოს დამატებითი ინფორმაცია, რაც აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად.

საკრედიტო რისკის მართვის პრაქტიკა

35ვ. საწარმომ უნდა ახსნას საკრედიტო რისკის მართვის თავისი პრაქტიკა, ასევე, როგორ უკავში-
რდება ეს პრაქტიკა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებასა და შეფასებას. ამ მიზნის მისაღწევად საწარმომ უნდა გაამქლავნოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშ-
გების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, ნათელი წარმოდგენა შეიქმნან ქვემოთ განხილულ საკითხებზე და შეაფასონ:

- ა) როგორ განსაზღვრა საწარმომ, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მათ შორის: რამდენად და როგორ:
 - (i) მიიჩნევა, რომ ფინანსურ ინსტრუმენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, ფასს 9-ის 5.5.10 პუნქტის შესაბამისად, მათ შორის, ფინანსური ინსტრუ-
მენტების კლასები, რომლებზეც ვრცელდება იგი; და
 - (ii) მოხდა ფასს 9-ის 5.5.11 პუნქტში აღწერილი ვარაუდის უარყოფა იმის თაობაზე, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუ ფინანსური აქტივები 30 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული;

- ბ) ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შესახებ საწარმოს მიერ გამოყენებული განსაზღვრებები, მათ შორის ამ განსაზღვრებების შერჩევის მიზეზები;
- გ) როგორ განხორციელდა ფინანსური ინსტრუმენტების დაჯგუფება, როდესაც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდა კოლექტიურად;
- დ) როგორ განსაზღვრა საწარმომ, რომ ფინანსური აქტივები საკრედიტო რისკით გაუფასურებულია;
- ე) საწარმოს ჩამოწერის პოლიტიკა, მათ შორის იმის ინდიკატორები, რომ არ არსებობს თანხების ამოღების გონივრული მოლოდინი და ასევე ინფორმაცია იმ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული პოლიტიკის შესახებ, რომლებიც ჩამოწერილია, მაგრამ მაინც ექვემდებარება აღსრულების პროცედურებს; და
- ვ) როგორ გამოიყენა საწარმომ ფასს 9-ის 5.5.12 პუნქტში განსაზღვრული, ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიცირების მოთხოვნები, მათ შორის:
 - (i) როგორ განსაზღვრავს საწარმო, რომ იმ მოდიფიცირებულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი, რომლის ზარალის რეზერვი შეფასებული იყო არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით, იმდენად გაუმჯობესდა, რომ ზარალის რეზერვი ისევ ფასდება 12-თვიანი საკრედიტო ზარალის ოდენობით, ფასს 9-ის 5.5.5 პუნქტის შესაბამისად; და
 - (ii) როგორ ახორციელებს საწარმო მონიტორინგს იმისა, თუ იმ ფინანსური აქტივების ზარალის რეზერვი, რომლებიც აკმაყოფილებს (i) ქვეპუნქტში მითითებულ კრიტერიუმებს, რა დონეზე უზრუნდება არსებობის მანძილზე საკრედიტო ზარალის ოდენობით შეფასებას, ფასს 9-ის 5.5.3 პუნქტის შესაბამისად.

35ზ. საწარმომ უნდა ახსნას ის ამოსავალი მონაცემები, დაშვებები და შეფასების მეთოდები, რომლებიც გამოიყენა ფასს 9-ის 5.5 ნაწილის მოთხოვნების შესასრულებლად. ამ მიზნით, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) ამოსავალი მონაცემებისა და დაშვებების საფუძველი, ასევე შეფასების მეთოდები, რომლებიც გამოიყენა:
 - (i) 12-თვიანი და არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად;
 - (ii) იმის დასადგენად, ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების შემდეგ; და
 - (iii) იმის განსაზღვრისთვის, ფინანსური აქტივი არის თუ არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივი.
- ბ) როგორ გაითვალისწინა საპროგნოზო ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისას, მათ შორის, როგორ გამოიყენა მაკროეკონომიკური ინფორმაცია; და
- გ) საანგარიშგებო პერიოდში შეფასების მეთოდებში ან მნიშვნელოვან დაშვებებში შეტანილი ცვლილებები და აღნიშნული ცვლილებების მიზეზები.

როდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაცია იმ თანხების შესახებ, რომლებიც წარმოიქმნება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალიდან გამომდინარე

35თ. ზარალის რეზერვის ცვლილებებისა და აღნიშნული ცვლილებების მიზეზების ასახსნელად, საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული კლასის მიხედვით ცხრილში უნდა წარმოადგინოს ზარალის რეზერვის საწყისი ნაშთის შეჯერება საბოლოო ნაშთთან, სადაც ცალკე იქნება ნაჩვენები პერიოდის განმავლობაში მომხდარი შემდეგი ცვლილებები:

- ა) ზარალის რეზერვის, რომელიც შეფასებულია 12-თვიანი საკრედიტო ზარალის ტოლი თანხით;
- ბ) ზარალის რეზერვის, რომელიც შეფასებულია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ეკვივალენტური თანხით, შემდეგ ფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებით:
 - (i) ფინანსური ინსტრუმენტები რომელთა საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მაგრამ არ წარმოადგენს საკრედიტო რისკით გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს;
 - (ii) ფინანსური აქტივები, რომლებიც საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით საკრედიტო რისკით გაუფასურებულია (მაგრამ არ წარმოადგენს შექმნილ ან შექმნილ გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს); და
 - (iii) სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს ან საიჯარო მოთხოვნებს, რომელთათვისაც ზარალის რეზერვები ფასდება ფასს 9-ის 5.5.15 პუნქტის შესაბამისად.
- გ) ფინანსური აქტივების, რომლებიც შექმნილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივებია. შეჯერების გარდა, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს იმ ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის არადისკონტირებული მთლიანი ოდენობა, რომელიც თავდაპირველად აღიარდა მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში.

35ი. იმისათვის, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან, 35თ პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად გამჟღავნებული ზარალის რეზერვის ცვლილებების შესახებ, საწარმომ უნდა ახსნას, რა გავლენა იქონია ზარალის რეზერვის ცვლილებებზე მოცემული პერიოდის განმავლობაში ფინანსური ინსტრუმენტების მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებაში მომხდარმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა. ინფორმაცია ცალ-ცალკე უნდა იყოს წარმოდგენილი იმ ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებსაც გააჩნიათ ისეთი ტიპის ზარალის რეზერვები, რომლებიც აღწერილია 35თ(ა)-(გ) პუნქტში და, ამასთან, უნდა მოიცავდეს შესაფერის ხარისხობრივ და რაოდენობრივ ინფორმაციასაც. ქვემოთ განხილულია ფინანსური ინსტრუმენტების მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულებების ცვლილებების მაგალითები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინა ზარალის რეზერვის ცვლილებაზე:

- ა) ცვლილებები, რომლებიც განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ფინანსური ინსტრუმენტები შექმნილი ან შექმნილი იყო საანგარიშგებო პერიოდში;
- ბ) ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიცირება, რომელიც, ფასს 9-ის შესაბამისად, არ იწვევს ამ ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტას;
- გ) ცვლილებები, რომლებიც გამოიწვია იმ ფინანსურმა ინსტრუმენტებმა, რომელთა აღიარებაც შეწყდა საანგარიშგებო პერიოდში (მათ შორის, რომლებიც ჩამოიწერა); და
- დ) ცვლილებები, რომლებიც გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ზარალის რეზერვი შეფასებულია 12-თვიანი ან არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი თანხით.

35კ. იმისათვის, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან იმ ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიცირების ხასიათისა და აღნიშნული მოდიფიცირების გავლენის შესახებ, რამაც არ გამოიწვია მოცემული ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა, ასევე რა გავლენა იქონია ამგვარმა მოდიფიკაციამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაზე, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) ამორტიზებული ღირებულება მოდიფიცირებამდე და მოდიფიცირების წმინდა შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარდა იმ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით, რომელთა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები შეიცვალა საანგარიშგებო პერიოდში, მაშინ, როდესაც ზარალის რეზერვები შეფასებული იყო არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ეკვივალენტური თანხით; და

- ბ) იმ ფინანსური აქტივების (ბრუტო) საბალანსო ღირებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომელთა მოდიფიცირება თავდაპირველი აღიარების შემდეგ იმ დროს განხორციელდა, როდესაც ზარალის რეზერვი ფასდებოდა არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ეკვივალენტური თანხით და რომლისთვისაც საანგარიშგებო პერიოდში ზემოაღნიშნული ზარალის რეზერვი შეიცვალა 12-თიანი საკრედიტო ზარალის ტოლი თანხით.
- 35ლ. იმისათვის, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან უზრუნველყოფისა და კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებების გავლენაზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან დაკავშირებით წარმოქმნილ თანხებზე, საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული კლასის მიხედვით უნდა გაამყვანოს შემდეგი ინფორმაცია:
- ა) თანხა, რომელიც საუკეთესოდ წარმოაჩენს საწარმოს მაქსიმალურ დაქვემდებარებას საკრედიტო რისკზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმოს სასარგებლოდ არსებული უზრუნველყოფის, ან კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებების გათვალისწინების გარეშე (მაგალითად, ურთიერთჩათვლის შეთანხმებები, რომლებიც არ აკმაყოფილებს ურთიერთგადაფარვის კრიტერიუმებს, ბასს 32-ის შესაბამისად);
- ბ) უზრუნველყოფისა და კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებების ტექსტური აღწერა, მათ შორის:
- (i) უზრუნველყოფის ხასიათისა და ხარისხის აღწერა;
- (ii) ამ უზრუნველყოფის ან კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებების ხარისხში მომხდარი იმ მნიშვნელოვანი ცვლილებების ახსნა, რომლებიც განაპირობა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს პოლიტიკის შესუსტებამ ან ცვლილებამ, რომელსაც იგი იყენებდა უზრუნველყოფის მიმართ;
- (iii) ინფორმაცია იმ ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, რომლებთან მიმართებაშიც საწარმომ არ აღიარებია ზარალის რეზერვი, უზრუნველყოფის გამო.
- გ) რაოდენობრივი ინფორმაცია უზრუნველყოფისა და კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებების შესახებ (მაგალითად, რაოდენობრივად გამოსახვა იმისა, რამდენად ამცირებს უზრუნველყოფა და კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებები საკრედიტო რისკს) იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით მიიჩნევა საკრედიტო რისკით გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებად.
- 35მ. საწარმომ უნდა გაამყვანოს დასაფარი სახელშეკრულებო თანხა იმ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც საანგარიშგებო პერიოდში ჩამოიწერა და ჯერ კიდევ ექვემდებარება აღსრულების პროცედურას.

საკრედიტო რისკის პოზიცია

- 35ბ. იმისათვის, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებმა შეძლონ საწარმოს საკრედიტო რისკის პოზიციის შეფასება და ნათელი წარმოდგენა შეიქმნან მისი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაციების შესახებ, საწარმომ *საკრედიტო რისკის რეიტინგის საფეხურების* მიხედვით უნდა გაამყვანოს ფინანსური აქტივების მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულება და ინფორმაცია სესხის გაცემის ვალდებულებებსა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებზე საკრედიტო რისკის გავლენის შესახებ. ეს ინფორმაცია ცალ-ცალკე უნდა იყოს წარმოდგენილი შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის:
- ა) რომელთა ზარალის რეზერვი ფასდება 12-თვიანი საკრედიტო ზარალის ტოლი თანხით;
- ბ) რომელთა ზარალის რეზერვი ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ეკვივალენტური თანხით და რომლებიც წარმოადგენს:
- (i) ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომელთა საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მაგრამ არ წარმოადგენს საკრედიტო რისკით გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს;

- (ii) ფინანსურ აქტივებს, რომლებიც საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით საკრედიტო რისკით გაუფასურებულია (მაგრამ არ წარმოადგენს შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს); და
 - (iii) სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს ან საიჯარო მოთხოვნებს, რომელთათვისაც ზარალის რეზერვები ფასდება ფასს 9-ის 5.5.15 პუნქტის შესაბამისად.
- გ) რომლებიც წარმოადგენს შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს.
- 35ო. სავაჭრო მოთხოვნების, სახელშეკრულებო აქტივებისა და საიჯარო მოთხოვნებისთვის, რომლებთან მიმართებაშიც საწარმო იყენებს ფასს 9-ის 5.5.15 პუნქტს, 35ნ პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი ინფორმაცია შეიძლება ეფუძნებოდეს რეზერვების (ანარიცხების) მატრიცას (იხ. ფასს 9-ის პუნქტი ბ5.5.35).
36. წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროში შემავალი ყველა ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომლებზეც არ ვრცელდება ფასს 9-ში განსაზღვრული გაუფასურების მოთხოვნები, საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიების მიხედვით უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:
- ა) თანხა, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ გავლენას საწარმოზე საანგარიშგებო თარიღისათვის, საწარმოს მიერ ფლობილი ყოველგვარი უზრუნველყოფის ან კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებების გაუთვალისწინებლად (მაგალითად, ურთიერთჩათვლის შეთანხმება, რომელიც არ აკმაყოფილებს ურთიერთგადაფარვის კრიტერიუმს ბასს 32-ის შესაბამისად); ამ ინფორმაციის გამჟღავნება არ მოითხოვება ისეთი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომელთა საბალანსო ღირებულებები საუკეთესოდ ასახავს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ გავლენას;
 - ბ) კრედიტის გარანტიის სახით ფლობილი უზრუნველყოფის ან კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებებისა და მათი ფინანსური ეფექტის აღწერა (რაოდენობრივი შეფასება იმისა, რამდენად ამცირებს საკრედიტო რისკს უზრუნველყოფა და კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებები) იმ თანხასთან მიმართებით, რომელიც საუკეთესოდ ასახავს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ გავლენას (რაც გამჟღავნებული იქნება ან (ა) პუნქტის შესაბამისად, ან გამოსახული იქნება ფინანსური ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებით;
 - გ) [გაუქმებულია]
 - დ) [გაუქმებულია]
37. [გაუქმებულია]

მიღებული უზრუნველყოფა ან კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებები

38. როდესაც საწარმო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მოიპოვებს ფინანსურ ან არა-ფინანსურ აქტივებს, იმ თვალსაზრისით, რომ მის მფლობელობაში გადადის კრედიტის უზრუნველყოფა ან კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებები (მაგ., გარანტიები) და ეს აქტივები აკმაყოფილებს სხვა სტანდარტების აღიარების კრიტერიუმებს, მან საანგარიშგებო თარიღისთვის მის მფლობელობაში მყოფი ამგვარი აქტივების შესახებ უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:
- ა) მიღებული აქტივების ბუნება და საბალანსო ღირებულება; და
 - ბ) აქტივების გასხვისების ან საწარმოს საქმიანობაში გამოყენების პოლიტიკა, თუ ზემოაღნიშნული აქტივები არ არის ადვილად კონვერტირებადი ნაღდ ფულში.

ლიკვიდობის რისკი

39. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს:

- ა) არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი (მათ შორის, გაცემული ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებების), საიდანაც გამოჩნდება დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადები;
- ბ) წარმოებული ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი. დაფარვის ვადების ანალიზმა უნდა მოიცვას დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადები იმ წარმოებული ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომელთა სახელშეკრულებო დაფარვის ვადები მნიშვნელოვანია ფულადი ნაკადების წარმოქმნის ვადების გასაგებად (იხ. პუნქტი ბ11ბ);
- გ) იმის აღწერა, როგორ მართავს (ა) და (ბ) პუნქტებში ხსენებული ვალდებულებებისთვის დამახასიათებელ ლიკვიდობის რისკს.

საბაზრო რისკი

მგრძობელობის ანალიზი

40. თუ საწარმოს არ ეხება 41-ე პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები, მაშინ მან უნდა წარმოადგინოს:
- ა) მგრძობელობის ანალიზი თითოეული ტიპის საბაზრო რისკისთვის, რომელიც გავლენას ახდენდა საწარმოზე საანგარიშგებო თარიღისათვის, ამასთან ისე, რომ ჩანდეს, რა უარყოფით გავლენას იქონიებდა მოგებაზე ან ზარალზე და საკუთარ კაპიტალზე რისკის შესაფერისი ცვლადის იმგვარი ცვლილება, რაც, გონივრულების ფარგლებში, მოსალოდნელი იყო ამ თარიღისათვის;
 - ბ) მგრძობელობის ანალიზში გამოყენებული მეთოდები და დაშვებები; და
 - გ) ამ მეთოდებსა და დაშვებებში წინა პერიოდის შემდეგ მომხდარი ცვლილებები და მათი შეცვლის მიზეზები.
41. თუ საწარმო ამზადებს მგრძობელობის ანალიზს, როგორცაა შეფასება რისკის საფუძველზე, რომელიც ასახავს რისკის ცვლადებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას (მაგ., საპროცენტო განაკვეთსა და სავალუტო კურსებს შორის) და ამ ანალიზს იყენებს ფინანსური რისკების მართვისათვის, მან შეიძლება ეს ანალიზი გამოიყენოს მე-40 პუნქტით განსაზღვრული მგრძობელობის ანალიზის ნაცვლად. გარდა ამისა, საწარმომ უნდა:
- ა) განმარტოს ამ ანალიზის დროს გამოყენებული მეთოდები, ასევე ძირითადი პარამეტრები და დაშვებები, რომლებიც ამოსავალ ბაზად გამოიყენა; და
 - ბ) ახსნას გამოყენებული მეთოდების მიზანი და მისთვის დამახასიათებელი შეზღუდვები, რის გამოც მიღებული ინფორმაცია შეიძლება სრულყოფილად არ ასახავდეს შესაბამისი აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას.

სხვა განმარტებები საბაზრო რისკის შესახებ

42. როდესაც მე-40 ან 41-ე პუნქტების შესაბამისად მომზადებული მგრძობელობის ანალიზი არ ასახავს ფინანსური ანგარიშგებისთვის დამახასიათებელ რისკს (მაგალითად, იმიტომ, რომ რისკის გავლენა საანგარიშგებო წლის ბოლოს არ ასახავს რისკის გავლენას წლის მანძილზე), საწარმომ უნდა დააფიქსიროს თავად ეს ფაქტი და მიზეზი, რომელიც, მისი აზრით, მგრძობელობის ანალიზს არარეპრეზენტაციულს ხდის.

ფინანსური აქტივების გადაცემა

- 42ა. 42ბ-42თ პუნქტებით გათვალისწინებული გასამქლავნებელი ინფორმაცია, რომელიც ეხება ფინანსური აქტივების გადაცემას, ავსებს წინამდებარე სტანდარტით მოთხოვნილ სხვა განმარტებებს. საწარმომ 42ბ-42თ პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგების ცალკე შენიშვნის სახით; ამასთან, ეს ინფორმაცია

უნდა ეხებოდეს ყველა გადაცემულ ფინანსურ აქტივს, რომლის აღიარებაც არ შეწყვეტილა და ასევე გადაცემულ აქტივში საწარმოს ნებისმიერი სახის მონაწილეობას, რომელიც ისევ შენარჩუნებულია საანგარიშგებო თარიღისთვის, იმის მიუხედავად, როდის განხორციელდა აქტივის გადაცემის ოპერაცია. ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული პუნქტების მოთხოვნების გამოყენების მიზნით, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ მიიჩნევა, რომ საწარმოს გადაცემული აქვს ფინანსური აქტივი (გადაცემული ფინანსური აქტივი), ან მისი ნაწილი, თუ საწარმო:

- ა) გადასცემს ამ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს; ან
- ბ) ინარჩუნებს ამ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს, მაგრამ თავის თავზე იღებს აქტივის ერთი ან რამდენიმე მიმდებისთვის ფულადი სახსრების გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულებას.

42ბ. საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა წარმოადგინოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც მისი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს:

- ა) გაიგოს, რა კავშირი არსებობს გადაცემულ ფინანსურ აქტივსა (რომლის აღიარება მთლიანად არ შეწყვეტილა) და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს შორის; და
- ბ) შეაფასოს საწარმოს შენარჩუნებული მონაწილეობის ხასიათი ფინანსურ აქტივებში, რომლის აღიარებაც შეწყდა და ასევე მასთან დაკავშირებული რისკები.

42გ. ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით 42ე-42თ პუნქტების მოთხოვნების გამოყენების მიზნით, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ მიიჩნევა, რომ საწარმო ინარჩუნებს მონაწილეობას გადაცემულ ფინანსურ აქტივში, თუ საწარმო მისი გადაცემისას (გადაცემის პირობის სახით) ინარჩუნებს მოცემული ფინანსური აქტივის გადაცემისთვის დამახასიათებელ ყველა სახელშეკრულებო უფლებას ან ვალდებულებას, ან გადაცემულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებით იღებს ახალ სახელშეკრულებო უფლებებს ან ვალდებულებებს. ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით 42ე-42თ პუნქტების მოთხოვნების გამოყენების მიზნით, ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების არსებობა არ ნიშნავს საწარმოს შენარჩუნებულ მონაწილეობას გადაცემულ ფინანსურ აქტივში:

- ა) აქტივების მაქინაციურ გადაცემასთან დაკავშირებული სტანდარტული განცხადებები და გარანტიები, რაც არ პასუხობს კეთილგონიერულობის, პატიოსნებისა და კეთილ-სინდისიერი საქმიანი ურთიერთობების მოთხოვნებს, რის გამოც აქტივის გადაცემის ოპერაცია შეიძლება გაუქმდეს სასამართლოს ძალით;
- ბ) გადაცემული აქტივის გამოსყიდვასთან დაკავშირებული ფორვარდული გარიგებები, ოფციონისა და სხვა ხელშეკრულებები, რომლის სახელშეკრულებო ფასი (ან აღსრულების ფასი) გადაცემული ფინანსური აქტივის რეალური ღირებულებაა; ან
- გ) შეთანხმება, რომლის თანახმად საწარმო ინარჩუნებს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს, მაგრამ თავის თავზე იღებს ფულადი სახსრების გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულებას ერთი ან რამდენიმე საწარმოსთვის და, ამასთან, შესრულებულია ფასს 9-ის 3.2.5(ა)-(გ) პუნქტების პირობები.

გადაცემული ფინანსური აქტივები, რომელთა აღიარება მთლიანად არ შეწყვეტილა

42დ. საწარმოს შეუძლია იმგვარად განახორციელოს აქტივების გადაცემა, რომ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებდეს ყველა გადაცემული ფინანსური აქტივი, ან მათი ნაწილი. 42ბ(ა) პუნქტის მიზნების მისაღწევად, საწარმომ ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის თითოეულ გადაცემულ ფინანსურ აქტივთან მიმართებით, რომლის მთლიანად აღიარება არ შეწყვეტილა, უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) გადაცემული აქტივების ხასიათი;

- ბ) საკუთრებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის ხასიათი, რომელიც საწარმოსთან რჩება;
- გ) გადაცემულ აქტივებსა და შესაბამის ვალდებულებებს შორის ურთიერთკავშირის აღწერა, მათ შორის, აქტივების გადაცემის შედეგად წარმოქმნილი შეზღუდვების, რომლებიც ეხება ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ გადაცემული აქტივების გამოყენებას;
- დ) როდესაც გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებული ვალდებულებების კონტრა-ჰენტ(ებ)ს გააჩნია(თ) მხოლოდ გადაცემული აქტივების უკან მოთხოვნის უფლება, ცხრილი, რომელშიც მითითებულია გადაცემული აქტივების რეალური ღირებულება, მასთან დაკავშირებული ვალდებულებების რეალური ღირებულება და ნეტო პოზიცია (გადაცემული აქტივებისა და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებების რეალურ ღირებულებებს შორის სხვაობა);
- ე) გადაცემული აქტივებისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო აგრძელებს ყველა გადაცემული აქტივის აღიარებას;
- ვ) იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო აგრძელებს აქტივების აღიარებას, მან აქტივების იმ ნაწილთან მიმართებაში, რომელშიც მონაწილეობას ინარჩუნებს (იხ. ფასს 9-ის 3.2.6(გ)(ii) და 3.2.16 პუნქტები), უნდა აჩვენოს: თავდაპირველი აქტივების საბალანსო ღირებულებების მთლიანი თანხა, რომელიც მათ გააჩნდათ გადაცემამდე, იმ აქტივების საბალანსო ღირებულებები, რომელთა აღიარებასაც აგრძელებს საწარმო და ასევე დაკავშირებული ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები.

გადაცემული ფინანსური აქტივები, რომელთა აღიარება მთლიანად შეწყდა

- 42ე. 42ბ(ბ) პუნქტის მიზნების მისაღწევად, როდესაც საწარმო მთლიანად წყვეტს გადაცემული ფინანსური აქტივების აღიარებას (იხ. ფასს 9-ის 3.2.6(ა) და (გ) (i) პუნქტები), მაგრამ ინარჩუნებს მათში მონაწილეობას, საწარმომ ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის თითოეული ტიპის შენარჩუნებულ მონაწილეობასთან დაკავშირებით უნდა წარმოადგინოს, სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია მაინც:
- ა) საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რომლებიც ასახავს საწარმოს შენარჩუნებულ მონაწილეობას ფინანსურ აქტივებში, რომელთა აღიარებაც შეწყდა და ასევე უნდა მიუთითოს ანგარიშგების მუხლები, რომელშიც ასახულია ამ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები;
 - ბ) იმ აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებები, რომლებიც ასახავს საწარმოს შენარჩუნებულ მონაწილეობას ფინანსურ აქტივებში, რომელთა აღიარებაც შეწყდა;
 - გ) თანხა, რომელიც საუკეთესოდ ასახავს იმ ზარალის მაქსიმალურ დონეს, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს საწარმოს მონაწილეობის შენარჩუნებამ ფინანსურ აქტივებში, რომელთა აღიარებაც შეწყდა და ინფორმაცია, საიდანაც ჩანს, როგორ განსაზღვრა საწარმომ ზემოაღნიშნული მაქსიმალური ზარალის სიდიდე;
 - დ) არადისკონტირებული ფულადი ნაკადების ოდენობა, რომლის გასვლა საწარმოდან შეიძლება საჭირო გახდეს, ან მოთხოვნილ იქნეს იმ აქტივების გამოსყიდვისთვის, რომელთა აღიარებაც შეწყდა (მაგალითად, ოფციონის შეთანხმების აღსრულების ფასი), ან სხვა თანხები, რომელიც გადასახდელია გადაცემული აქტივების მიმღებისთვის, ფულადი სახსრების გადაცემასთან დაკავშირებით. თუ ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის გასვლაც მოსალოდნელია საწარმოდან, ცვალებადი სიდიდეა, მაშინ მისი სიდიდე განსაზღვრული უნდა იყოს თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული პირობების გათვალისწინებით;

- ე) არადისკონტირებული ფულადი ნაკადების ვადების ანალიზი, რომლის გასვლა საწარმოდან საჭირო გახდება, ან შეიძლება მოთხოვნილ იქნეს იმ აქტივების გამოსყიდვისთვის, რომელთა აღიარებაც შეწყდა, ან სხვა თანხების გასვლის ვადების ანალიზი, რომელიც გადასახდელი აქვს საწარმოს გადაცემული ფინანსური აქტივების მიმღებისთვის აქტივების გადაცემასთან დაკავშირებით. ამასთან, მითითებული უნდა იყოს დარჩენილი სახელშეკრულებო ვადები, რომლებიც ეხება საწარმოს შენარჩუნებულ მონაწილეობას ამ აქტივებში;
- ვ) ხარისხობრივი ხასიათის ინფორმაცია, რომელიც ხსნის და ასაბუთებს (ა)-(ე) პუნქტებში მოთხოვნილ რაოდენობრივ ინფორმაციას.
- 42ვ. საწარმოს უფლება აქვს აგრეგირებულად წარმოადგინოს 42ე პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია ამა თუ იმ კონკრეტულ აქტივთან მიმართებით, თუ საწარმო ამ აღიარებაშეწყვეტილ ფინანსურ აქტივში მონაწილეობას ინარჩუნებს რამდენიმენაირად და ანგარიშგებაში მათ წარადგენს, როგორც ერთი ტიპის შენარჩუნებულ მონაწილეობას.
- 42ზ. გარდა ამისა, საწარმომ თითოეული ტიპის შენარჩუნებული მონაწილეობისთვის უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:
- ა) აქტივების გადაცემის თარიღისთვის აღიარებული შემოსულობა, ან ზარალი;
 - ბ) შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც აღიარებულია როგორც საანგარიშგებო პერიოდში, ასევე მთლიანად მას შემდეგ, რაც საწარმომ შენარჩუნა მონაწილეობა ფინანსურ აქტივებში, რომელთა აღიარებაც შეწყდა (მაგალითად, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილებები);
 - გ) თუ საანგარიშგებო პერიოდში აქტივების გადაცემის ოპერაციიდან მიღებული შემოსავლების მთლიანი თანხა (რომელიც აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს) არათანაბრად ნაწილდება საანგარიშგებო პერიოდზე (მაგალითად, თუ აქტივების გადაცემის ოპერაციის მთლიანი თანხის არსებითი ნაწილი მიღებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღებში):
 - (i) როდის განხორციელდა საანგარიშგებო პერიოდში აქტივების გადაცემის ყველაზე მსხვილი ოპერაცია (მაგალითად, საანგარიშგებო თარიღამდე ბოლო ხუთ დღეში);
 - (ii) საანგარიშგებო პერიოდის მოცემულ ნაწილში აქტივების გადაცემის ოპერაციასთან დაკავშირებით აღიარებული თანხა (მაგალითად, შემოსულობა ან ზარალი);
 - (iii) საანგარიშგებო პერიოდის მოცემულ ნაწილში აქტივების გადაცემის ოპერაციასთან დაკავშირებით აღიარებული შემოსულობების მთლიანი თანხა.
- საწარმომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომლისთვისაც საწარმო წარადგენს სრული შემოსავლის ანგარიშგებას.

დამატებითი ინფორმაცია

- 42თ. საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა წარმოადგინოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებასაც აუცილებლად მიიჩნევს 42ბ პუნქტში ჩამოყალიბებული მიზნების მისაღწევად.

ფასს 9-ის პირველად გამოყენება

- 42ი. საანგარიშგებო პერიოდში, რომელსაც ფასს 9-ის პირველად გამოყენების თარიღი განეკუთვნება, საწარმომ, თითოეული კლასის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მიხედვით, ამ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღის მდგომარეობით, უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) თავდაპირველი შეფასებითი კატეგორია და საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის ან ფასს 9-ის წინა ვერსიის შესაბამისად (თუ საწარმოს მიერ ფასს 9-ის გამოყენება გულისხმობს სხვადასხვა მოთხოვნის გამოყენებისთვის ერთზე მეტი თავდაპირველი გამოყენების თარიღის არსებობას);
- ბ) ფასს 9-ის მიხედვით განსაზღვრული ახალი შეფასებითი კატეგორია და საბალანსო ღირებულება;
- გ) ნებისმიერი ისეთი ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულებისთვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხა, რომელიც ადრე საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებული იყო, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, მაგრამ ახლა უკვე აღარ არის ამგვარად კლასიფიცირებული საკუთარი შეხედულებისამებრ, ისე, რომ ცალ-ცალკე იყოს ნაჩვენები ის აქტივები და ვალდებულებები, რომელთა რეკლასიფიკაციაც სავალდებულოა ფასს 9-ის თანახმად და ისინი, რომელთა რეკლასიფიკაციასაც თვითონ ირჩევს საწარმო ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენების თარიღით.

ფასს 9-ის 7.2.2 პუნქტის შესაბამისად, საწარმოს მიერ არჩეულმა მიდგომამ, გამოიყენოს ფასს 9, ფასს 9-ზე გადასვლისას შეიძლება ერთზე მეტი თავდაპირველი გამოყენების თარიღი გამოიწვიოს. ამგვარად, ამ პუნქტის მოთხოვნების შესრულებამ შეიძლება რამდენიმე თავდაპირველი გამოყენების თარიღის გამჟღავნება განაპირობოს. საწარმომ ზემოაღნიშნული რაოდენობრივი ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს ცხრილის სახით, თუ კონკრეტულ შემთხვევაში უფრო შესაფერისი არ იქნება სხვა ფორმატი.

42კ. საანგარიშგებო პერიოდში, რომელსაც ფასს 9-ის პირველად გამოყენების თარიღი განეკუთვნება, საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ისეთი ხარისხობრივი ინფორმაცია, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს ნათელი წარმოადგენა შეეძლოს:

- ა) როგორ მიუყენა საწარმომ ფასს 9-ით გათვალისწინებული კლასიფიცირების მოთხოვნები ისეთ ფინანსურ აქტივებს, რომელთა კლასიფიკაცია შეიცვალა ფასს 9-ის გამოყენების შედეგად;
- ბ) იმ მიზეზების შესახებ, რომლებმაც განაპირობა ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირება რეალური ღირებულებით შეფასებულ კატეგორიად, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ან პირიქით, საკუთარი შეხედულებისამებრ ამგვარი კლასიფიკაციის გაუქმება თავდაპირველი გამოყენების თარიღის მდგომარეობით.

ფასს 9-ის 7.2.2 პუნქტის შესაბამისად, საწარმოს მიერ არჩეულმა მიდგომამ, გამოიყენოს ფასს 9, ფასს 9-ზე გადასვლისას შეიძლება ერთზე მეტი თავდაპირველი გამოყენების თარიღი გამოიწვიოს. ამგვარად, ამ პუნქტის მოთხოვნების შესრულებამ შეიძლება გამოიწვიოს ინფორმაციის გამჟღავნება რამდენიმე თავდაპირველი გამოყენების თარიღის მდგომარეობით.

42ლ. იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც საწარმო ფინანსურ აქტივებთან მიმართებით პირველად იყენებს ფასს 9-ში განსაზღვრულ კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნებს (ე.ი. როდესაც საწარმო ფინანსურ აქტივებთან მიმართებით ბასს 39-დან ფასს 9-ზე გადადის), მან უნდა გაამჟღავნოს ფასს 9-ის 42მ–42პ პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია, 7.2.15 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.

42მ. თუ მოითხოვება 42ლ პუნქტით, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციაში შესული ცვლილებების შესახებ ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენების თარიღის მდგომარეობით ისე, რომ ცალ-ცალკე იყოს ნაჩვენები:

- ა) საბალანსო ღირებულებების ცვლილებები, რაც განაპირობა ბასს 39-ის შესაბამისად განსაზღვრულმა მათმა შეფასებითმა კატეგორიებმა (ე.ი. რაც განაპირობებული არ არის შეფასებაში ფასს 9-ზე გადასვლით გამოწვეული ცვლილებით); და
- ბ) საბალანსო ღირებულებებში მომხდარი ცვლილებები, რაც განაპირობა ფასს 9-ზე გადასვლით გამოწვეულმა ცვლილებამ შეფასებაში.

ამ პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო აღარ არის იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, რომელშიც საწარმომ ფინანსურ აქტივებთან მიმართებით პირველად გამოიყენა ფასს 9-ში განსაზღვრული კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები.

42ბ. თუ მოითხოვება 42ლ პუნქტით, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესახებ, რომლებიც ფასს 9-ზე გადასვლის შედეგად განხორციელებული რეკლასიფიკაციის შემდეგ შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, იმ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ კატეგორიიდან რეკლასიფიკაციის შემდეგ შეფასებულია „რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“:

- ა) ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც განსაზღვრულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- ბ) რეალური ღირებულების ცვლილებით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აღიარდებოდა მოგებაში ან ზარალში, ან სხვა სრულ შემოსავალში, რომ არ მომხდარიყო ამ ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების რეკლასიფიკაცია;

ამ პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო აღარ არის იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, რომელშიც საწარმომ ფინანსურ აქტივებთან მიმართებით პირველად გამოიყენა ფასს 9-ში განსაზღვრული კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები.

42გ. თუ მოითხოვება 42ლ პუნქტით, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესახებ, რომლებიც ფასს 9-ზე გადასვლის შედეგად რეკლასიფიცირებული იყო „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ კატეგორიიდან სხვა კატეგორიაში:

- ა) ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც განისაზღვრა თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის; და
- ბ) აღიარებული საპროცენტო ამონაგები ან ხარჯი.

თუ საწარმო თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების რეალურ ღირებულებას მიიჩნევს მის ახალ მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებად (იხ. ფასს 9-ის 7.2.11 პუნქტი), ამ პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის შესახებ მათი აღიარების შეწყვეტამდე. სხვა შემთხვევაში, ამ პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო აღარ არის იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, რომელშიც საწარმომ ფინანსურ აქტივებთან მიმართებით პირველად გამოიყენა ფასს 9-ში განსაზღვრული კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები.

42დ. თუ საწარმო წარადგენს 42ლ–42ო პუნქტებით გათვალისწინებულ გასამჟღავნებელ ინფორმაციას, ეს ინფორმაცია და წინამდებარე ფასს-ის 25-ე პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია:

- ა) ბასს 39-ისა და ფასს 9-ის შესაბამისად წარმოდგენილი შეფასებითი კატეგორიებისა; და
- ბ) ფინანსური ინსტრუმენტის კატეგორიის (კლასის)

შეჯერების საშუალებას უნდა იძლეოდეს ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენების თარიღით.

42ე. ფასს 9-ის 5.5 ნაწილის თავდაპირველი გამოყენების თარიღით, საწარმოს მოეთხოვება ისეთი ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც შესაძლებელს გახდის ბასს 39-ის შესაბამისად განსაზღვრული საბოლოო გაუფასურების რეზერვისა და ბასს 37-ის შესაბამისად განსაზღვრული ანარიცხების შეჯერებას ფასს 9-ის შესაბამისად განსაზღვრულ საწყის ზარალის რეზერვებთან. ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ფინანსური აქტივების შესაბამისი შეფასებითი კატეგორიების მიხედვით, ბასს 39-ისა და ფასს 9-ის შესაბამისად. ამასთან, ცალკე უნდა იყოს ნაჩვენები კონკრეტული შეფასებითი კატეგორიის ცვლილებების გავლენა ზარალის რეზერვზე ამ თარიღის მდგომარეობით.

- 42რ. საანგარიშგებო პერიოდში, რომელსაც ფასს 9-ის პირველად გამოყენების თარიღი განეკუთვნება, საწარმოს არ ევალება მუხლობრივად იმ თანხების გამჟღავნება, რომლებიც ანგარიშგებაში აისახებოდა კლასიფიკაციისა და შეფასების შემდეგი მოთხოვნების შესაბამისად (რაც მოიცავს ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით შეფასებასა და გაუფასურებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებსაც, რომლებსაც ითვალისწინებს ფასს 9-ის 5.4 და 5.5 ნაწილები):
- ა) ფასს 9-ის მოთხოვნები - გასული პერიოდებისთვის; და
 - ბ) ბასს 39-ის მოთხოვნები - მიმდინარე პერიოდისთვის.
- 42ს. ფასს 9-ის 7.2.4 პუნქტის შესაბამისად, როდესაც საწარმოსთვის შეუძლებელია (როგორც ეს ტერმინი განმარტებულია ბასს 8-ში) მოდიფიცირებული ფულის დროითი ღირებულების ელემენტის შეფასება ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენების თარიღით, ფასს 9-ის ბ4.1.9ბ – ბ4.1.9დ პუნქტების შესაბამისად, მოცემული ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებისას არსებულ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით, მაშინ საწარმომ ამ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადის მახასიათებლები ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებისას არსებულ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით უნდა შეაფასოს ისე, რომ მხედველობაში არ მიიღოს მოდიფიცირებული ფულის დროითი ღირებულების ელემენტთან დაკავშირებული მოთხოვნები ფასს 9-ის ბ4.1.9ბ–ბ4.1.9დ პუნქტების შესაბამისად. საწარმომ იქამდე უნდა გაამჟღავნოს იმ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით, რომელთა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადის მახასიათებლები თავდაპირველი აღიარებისას არსებულ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით შეფასდა, ფასს 9-ის ბ4.1.9ბ–ბ4.1.9დ პუნქტებში განსაზღვრულ მოდიფიცირებულ ფულის დროითი ღირებულების ელემენტთან დაკავშირებული მოთხოვნების გაუთვალისწინებლად, სანამ ამ ფინანსური აქტივების აღიარება არ შეწყდება.
- 42ტ. ფასს 9-ის 7.2.5 პუნქტის შესაბამისად, როდესაც ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის საწარმოსთვის შეუძლებელია (როგორც ეს ტერმინი განმარტებულია ბასს 8-ში) ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებისას არსებულ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით იმის შეფასება, ფასს 9-ის ბ4.1.12 (გ) პუნქტის შესაბამისად წინასწარგადახდის პირობის რეალური ღირებულება უმნიშვნელო იყო თუ არა, საწარმომ მოცემული ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადის მახასიათებლები ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებისას არსებულ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით უნდა შეაფასოს ისე, რომ მხედველობაში არ მიიღოს ფასს 9-ის ბ4.1.12 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი, რომელიც ეხება წინასწარგადახდის პირობას. საწარმომ საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით იქამდე უნდა გაამჟღავნოს იმ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, რომელთა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადის მახასიათებლები შეფასდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებისას არსებულ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით, ფასს 9-ის ბ4.1.12 პუნქტში განსაზღვრულ წინასწარგადახდის შესაძლებლობის პირობასთან დაკავშირებული გამონაკლისის გაუთვალისწინებლად, სანამ ამ ფინანსური აქტივების აღიარება არ შეწყდება.

ძალაში შესვლის თარიღი და გარდამავალი დებულებები

43. საწარმომ მოცემული სტანდარტი უნდა გამოიყენოს 2007 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. რეკომენდებულია სტანდარტის უფრო ადრე გამოყენებაც. თუ საწარმო ამ სტანდარტს ვადაზე ადრე იყენებს, მან ამის შესახებ განმარტებით შენიშვნებში უნდა აღნიშნოს.
44. თუ საწარმო მოცემულ სტანდარტს 2006 წლის 1 იანვრამდე დაწყებული წლიური პერიოდებისათვის იყენებს, მას არ სჭირდება 31-42-ე პუნქტებით მოთხოვნილი განმარტებების შესაბამისად შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენა, ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკების ბუნებისა და დონეების შესახებ.
- 44ა. ბასს 1-მა (შესწორებული 2007 წელს) გამოიწვია ფასს სტანდარტებში გამოყენებული ტერმინოლოგიის შეცვლა. გარდა ამისა, გამოიწვია მე-20, 21-ე, 23(გ) და (დ), 27(გ) და „ბ“ დანართის 85 პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1

იანვარს ან მის შემდგომ დაწყებულ წლიურ პერიოდებში. თუ საწარმო ბასს 1-ს (შესწორებული 2007 წელს) უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, ამავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს ეს ცვლილებებიც.

44ბ. ფასს 3-მა (შესწორებული 2008 წელს) განაპირობა 3(გ) პუნქტის გაუქმება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 ივლისს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. თუ საწარმო ფასს 3-ს (შესწორებული 2008 წელს) უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, ამავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს ეს ცვლილებაც. თუმცა, ეს ცვლილება არ გამოიყენება ისეთი საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ პირობით კომპენსაციასთან მიმართებით, რომლის შექმნის თარიღი წინ უსწრებს ფასს 3-ის (შესწორებული 2008 წელს) გამოყენების თარიღს. ამის ნაცვლად, საწარმომ ამგვარი კომპენსაცია უნდა ასახოს ფასს 3-ის (2010 წლის შეცვლილი ვერსია) 65ა-65ე პუნქტების შესაბამისად.

44გ. საწარმომ მე-3 პუნქტში შესული ცვლილება უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. თუ საწარმო უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს 2008 წლის თებერვალში ბასს 32-ისა და ბასს 1-თვის გამოცემულ შესწორებებს - „*დაბრუნებადი ფინანსური ინსტრუმენტები და ლიკვიდაციასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულებები*“; ამავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს მე-3 პუნქტში შეტანილი ცვლილებაც.

44დ. პუნქტი 3(ა) შეიცვალა 2008 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის - „*ფასს სტანდარტების გაუმჯობესება*“ -შესაბამისად. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებას უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ამის შესახებ განმარტება უნდა გააკეთოს შენიშვნებში და ამავე პერიოდისთვის გამოიყენოს 2008 წლის მაისში ბასს 28-ის 1-ლი, ბასს 31-ის 1-ლი და ბასს 32-ის მე-4 პუნქტებისთვის გამოცემული შესწორებები. საწარმოს უფლება ეძლევა პერსპექტიულად გამოიყენოს ზემოაღნიშნული ცვლილება.

44ე. [გაუქმებულია]

44ვ. [გაუქმებულია]

44ზ. 2009 წლის მარტში გამოცემულმა დოკუმენტმა - „*განმარტებითი შენიშვნების გაუმჯობესება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ*“ - (ფასს 7-ის შესწორებები) განაპირობა 27-ე, 39-ე და ბ11 პუნქტების შეცვლა და 27ა, 27ბ, ბ10ა და ბ11ა-ბ11ვ პუნქტების დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. საწარმოს არ ევალება ზემოაღნიშნული ცვლილებებით გათვალისწინებული ინფორმაციის გამჟღავნება:

- ა) 2009 წლის 31 დეკემბრამდე არსებული წლიური, ან შუალედური პერიოდისთვის, მათ შორის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის, რომელიც წარდგენილია 2009 წლის 31 დეკემბრამდე დასრულებული წლიური შესადარისი პერიოდისთვის; ან
- ბ) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის, რომელიც მომზადებულია 2009 წლის 31 დეკემბრის წინა რომელიმე შესადარისი თარიღისთვის.

ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.¹

44თ-

44კ. [გაუქმებულია]

44ლ. 2010 წლის მაისში გამოცემულმა დოკუმენტმა - „*ფასს სტანდარტების გაუმჯობესება*“ -გამოიწვია 44ბ პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2010

1. 44ზ პუნქტი შეიცვალა 2010 წლის იანვარში გამოცემული დოკუმენტის - „*შეზღუდული განთავისუფლება ფასს 7-ით გათვალისწინებული შესადარისი ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებიდან: განმარტებითი შენიშვნები იმ საწარმოთათვის, რომლებიც პირველად იწყებენ ფასს-ების გამოყენებას*“ (ფასს 1-ის შესწორებები). საბჭომ 44ზ პუნქტი შეცვალა იმ მიზნით, რომ უფრო ნათელი გაეხადა თავისი დასკვნები და „*ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ განმარტებითი შენიშვნების გაუმჯობესება*“ (ფასს 7-ის შესწორებები) - დოკუმენტით გათვალისწინებული ცვლილებების გამოყენება.

- წლის 1 ივლისს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება.
- 44ბ. 2010 წლის მაისში გამოცემულმა დოკუმენტმა - „ფასს სტანდარტების გაუმჯობესება“ - გამოიწვია 32ა პუნქტის დამატება და 34-ე და 36-38-ე პუნქტების შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2011 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.
- 44ვ. 2010 წლის ოქტომბერში გამოცემულმა დოკუმენტმა - „განმარტებითი შენიშვნები - ფინანსური აქტივების გადაცემა“ (ფასს 7-ის შესწორებები) - გამოიწვია მე-13 პუნქტის გაუქმება და 42ა-42თ და ბ29-ბ39 პუნქტების დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2011 წლის 1 ივლისს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი თარიღიდან გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში. საწარმოს არ ევალება ამ დოკუმენტით გათვალისწინებული ინფორმაციის გამჟღავნება განმარტებით შენიშვნებში არც ერთი საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც იწყება იმ თარიღამდე, როდესაც საწარმო პირველად გამოიყენებს ზემოაღნიშნულ ცვლილებებს.
- 44ო. [გაუქმებულია]
- 44პ. 2011 წლის მაისში გამოცემულმა ფასს 10-მა და ფასს 11-მა - „ერთობლივი საქმიანობა“ - გამოიწვია მე-3 პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 10-სა და ფასს 11-ს.
- 44ჟ. 2011 წლის მაისში გამოცემულმა ფასს 13-მა გამოიწვია მე-3, 28-ე და 29-ე პუნქტებისა და „ა“ დანართის შეცვლა და 27-27ბ პუნქტების გაუქმება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 13-ს.
- 44რ. 2011 წლის ივნისში გამოცემულმა დოკუმენტმა - „სხვა სრული შემოსავლის მუხლების წარდგენა“ (ბასს 1-ის შესწორებები) გამოიწვია 27ბ პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება იმ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ბასს 1-ის 2011 წლის ივნისის შესწორებულ ვერსიას.
- 44ს. 2011 წლის დეკემბერში გამოცემულმა დოკუმენტმა - „განმარტებითი შენიშვნები - ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა“ - გამოიწვია 13ა-13ვ და ბ40-ბ53 პუნქტების დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2013 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. საწარმომ ამ დოკუმენტით გათვალისწინებული ინფორმაცია განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს რეტროსპექტულად.
- 44ტ-
44დ. [გაუქმებულია]
- 44ყ. 2012 წლის ოქტომბერში გამოცემულმა დოკუმენტმა - „საინვესტიციო საწარმოები“ (ფასს 10-ის, ფასს 12-ისა და ბასს 27-ის შესწორებები) - გამოიწვია მე-3 პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს 2014 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ამ დოკუმენტის ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ზემოაღნიშნულ ცვლილებას უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან იმავდროულად უნდა გამოიყენოს დოკუმენტით - „საინვესტიციო საწარმოები“ - გათვალისწინებული ყველა ცვლილება.
- 44შ. [გაუქმებულია]
- 44ჩ. 2014 წლის ივლისში გამოცემულმა ფასს 9-მ გამოიწვია 2-5-ე, 8-11-ე, მე-14, მე-20, 28-30-ე, 36-ე, 42გ-42ე პუნქტების, „ა“ დანართისა და ასევე ბ1, ბ5, ბ9, ბ10, ბ22 და ბ27 პუნქტების შეცვლა, მე-12, 12ა, მე-16, 22-24-ე, 37-ე, 44ე, 44ვ, 44თ-44კ, 44ო, 44ტ-44დ, 44შ, ბ4 პუნქტებისა და „დ“ დანართის გაუქმება და ასევე 5ა, 10ა, 11ა, 11ბ, 12ბ-12დ, 16ა, 20ა, 21ა-21დ, 22ა-22გ, 23ა-23ვ, 24ა-24ზ, 35ა-35ო, 42ი-42ტ, 44ც და ბ8ა-ბ8კ პუნქტების დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 9-ს. ზემოაღნიშნული ცვლილებების გამოყენება საჭირო არ არის იმ პერიოდების შესადარის

ინფორმაციასთან მიმართებით, რომლებიც წინ უსწრებს ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენების თარიღს.

- 44გ. ფასს 9-ის 7.1.2 პუნქტის შესაბამისად, 2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, საწარმოს უფლება აქვს, აირჩიოს მხოლოდ ფასს 9-ის 5.7.1(გ), 5.7.7-5.7.9, 7.2.14 და 85.7.5-85.7.20 პუნქტების მოთხოვნების ვადაზე ადრე გამოყენება, რომლებიც ეხება საკუთარი შეხედულებისამებრ მოგებაში ან ზარალში ასახვით რეალური ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული შემოსულობის ან ზარალის წარდგენას ისე, რომ არ გამოიყენოს ფასს 9-ის სხვა მოთხოვნები. თუ საწარმო გადაწყვეტს მხოლოდ ზემოაღნიშნული პუნქტების გამოყენებას, მან განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი და ასევე გაამჟღავნოს ფასს 9-ის (2010 წლის შეცვლილი ვერსიის) მე-10-11 პუნქტების შესაბამისი ინფორმაცია.
- 44დ. 2014 წლის სექტემბერში გამოცემულმა დოკუმენტმა - „*ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება, 2012-2014 წლის ციკლი*“ - გამოიწვია 44ჟ და 830 პუნქტების შეცვლა და 830ა პუნქტის დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები რეტროსპექტულად უნდა გამოიყენოს ბასს 8-ის - „*სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები*“ - შესაბამისად, 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საწარმოს არ სჭირდება 830 და 830ა პუნქტებში შესული ცვლილებების გამოყენება რომელიმე წარდგენილი პერიოდისთვის, რომელიც მანამდე იწყება, როდესაც საწარმო პირველად გამოიყენებს ამ ცვლილებებს. ნებადართულია 44ს, 830 და 830ა პუნქტებში შესული ცვლილებების ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს ზემოაღნიშნულ ცვლილებებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.
- 44წ. 2014 წლის დეკემბერში გამოცემულმა დოკუმენტმა - „*ინიციატივა ინფორმაციის გამჟღავნების სფეროში*“ (ბასს 1-ის შესწორებები) - გამოიწვია 21-ე და 85 პუნქტების შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ამ ცვლილების ვადამდელი გამოყენება.
- 44ჟ. 2016 წლის იანვარში გამოცემულმა ფასს 16-მა - „*იჯარა*“ - გამოიწვია 29-ე და 811დ პუნქტების შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 16-ს.
- 44ხ. *[ეს პუნქტი ისეთ ცვლილებებს ეხება, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული და ამიტომ გათვალისწინებული არ არის ამ გამოცემაში.]*

ბასს 30-ის გაუქმება

45. მოცემული სტანდარტი ცვლის ბასს 30-ს - „*ბანკებისა და ანალოგიური საფინანსო დაწესებულებების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები*“.

დანართი ა ტერმინების განმარტება

ეს დანართი სტანდარტის განყოფილი ნაწილია.

საკრედიტო რისკი	რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს.
საკრედიტო რისკის რეიტინგის საფეხურები	საკრედიტო რისკის რანგის (კლასის) შეფასება, რომელიც ეყრდნობა იმის რისკს, რომ დადგება ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის ფაქტი.
სავალუტო რისკი	რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას სავალუტო კურსის ცვლილებების ზემოქმედებით.
საპროცენტო განაკვეთის რისკი	რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების ზემოქმედებით.
ლიკვიდობის რისკი	რისკი იმისა, რომ საწარმო სიმძლევებს წააწყდება ისეთ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას, რომლებიც იფარება ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემით.
სასესხო ვალდებულება	სესხის გაცემის ვალდებულება არის ნებისმიერი სახის ფინანსური ვალდებულება, გარდა სტანდარტული პირობებით საქონლის კრედიტით გაყიდვის დროს წარმოშობილი მოკლევადიანი სავაჭრო დავალიანებისა.
საბაზრო რისკი	რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას საბაზრო ფასების ცვლილებების ზემოქმედებით. საბაზრო რისკი სამი ტიპის რისკისაგან შედგება: სავალუტო რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი და სხვა ფასების რისკი.
სხვა ფასების რისკი	რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას საბაზრო ფასების ცვლილებების ზემოქმედებით (გარდა საპროცენტო განაკვეთის რისკით ან სავალუტო რისკით გამოწვეული ცვლილებებისა), იმის მიუხედავად, რა იწვევს ამ ცვლილებებს -ინდივიდუალური ფინანსური ინსტრუმენტისთვის ან მისი ემიტენტისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორები, თუ სხვა ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ბაზარზე მიმოქცევადაც ყველა მსგავს ფინანსურ ინსტრუმენტზე.

შემდეგი ტერმინების განმარტებები მოცემულია ბასს 32-ის მე-11 პუნქტში, ბასს 39-ის მე-9 პუნქტში, ფასს 9-ის „ა“ დანართში ან ფასს 13-ის „ა“ დანართში და წინამდებარე სტანდარტშიც იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, რაც მინიჭებული აქვს ბასს 32-ში, ბასს 39-ში, ფასს 9-სა და ფასს 13-ში:

- ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება;
- სახელშეკრულებო აქტივი;
- (საკრედიტო რისკით) გაუფასურებული ფინანსური აქტივები;
- აღიარების შეწყვეტა;
- წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი;

- დივიდენდები;
- ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი;
- წილობრივი ინსტრუმენტი;
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი;
- რეალური ღირებულება;
- ფინანსური აქტივი;
- ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება;
- ფინანსური ინსტრუმენტი;
- ფინანსური ვალდებულება;
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- პროგნოზირებული გარიგება;
- ფინანსური აქტივის მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულება
- ჰეჯირების ინსტრუმენტი;
- სავაჭროდ გამიზნული;
- გაუფასურების შემოსულობა ან ზარალი;
- ზარალის რეზერვი;
- ვადაგადაცილებული ფინანსური აქტივი;
- შექმნილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები;
- რეკლასიფიკაციის თარიღი;
- ყიდვა-გაყიდვა ბაზრის სტანდარტული პირობებით.

დანართი ბ მითითებები გამოყენებაზე

ეს დანართი სტანდარტის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტების კლასები და განმარტებების დონე (მე-6 პუნქტი)

- ბ1. მე-6 პუნქტი მოითხოვს, რომ საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტები დააჯგუფოს ისეთ კატეგორიებად, რომლებიც შეეფერება ფინანსურ ანგარიშგებაში გასამჟღავნებელი ინფორმაციის ხასიათს და კლასიფიცირების დროს გაითვალისწინოს ამ ფინანსური ინსტრუმენტების მახასიათებლები. მე-6 პუნქტში აღწერილ ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიებს საწარმო განსაზღვრავს და, ამდენად, განსხვავებული იქნება ფასს 9-ში მოცემული კატეგორიებისაგან (რომელიც ადგენს, როგორ უნდა შეფასდეს ფინანსური ინსტრუმენტები და სად ხდება რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებების აღიარება).
- ბ2. ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიცირების დროს, საწარმომ, როგორც მინიმუმი:
- ერთმანეთისაგან უნდა გამიჯნოს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით შეფასებული ინსტრუმენტები;
 - ცალკე კატეგორიად ან კატეგორიებად უნდა განიხილოს ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ ხვდება მოცემული სტანდარტის მოქმედების სფეროში.
- ბ3. საწარმო თავისი კონკრეტული გარემოებების ფონზე თვითონ წყვეტს, რამდენად დეტალურ ინფორმაციას გააშუქებს მოცემული სტანდარტის მოთხოვნების შესასრულებლად, როგორ აქცენტს გააკეთებს ამ მოთხოვნების სხვადასხვა ასპექტზე და როგორ მოახდენს ინფორმაციის აგრეგირებას საერთო სურათის წარმოსაჩენად ისე, რომ არ გააერთიანოს სხვადასხვა მახასიათებლის მქონე ინფორმაცია. აუცილებელია გარკვეული ბალანსის დამყარება, რათა ფინანსური ანგარიშგება გადატვირთული არ იყოს ზედმეტი დეტალებით, რაც ხელს შეუშლის ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს, ან ზედმეტი აგრეგირებით ბუნდოვანი არ გახდეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია. მაგალითად, საწარმომ გაუგებარი არ უნდა გახადოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია დიდი მოცულობის უმნიშვნელო დეტალებით. ანალოგიურად, საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში არ უნდა აჩვენოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც იმდენად არის აგრეგირებული, რომ ბუნდოვანს ხდის ცალკეულ ოპერაციებს ან მათთან დაკავშირებულ რისკებს შორის მნიშვნელოვან განსხვავებებს.
- ბ4. [გაუქმებულია]

სხვა განმარტებითი ინფორმაცია - სააღრიცხვო პოლიტიკა (21-ე პუნქტი)

- ბ5. 21-ე პუნქტი მოითხოვს, რომ საწარმომ განმარტოს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული შეფასების საფუძველი (ან საფუძვლები) და საწარმოს მიერ გამოყენებული სხვა სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების გასაგებად. ფინანსური ინსტრუმენტებისათვის ამ ტიპის განმარტებითი ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს:
- ისეთი ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლასიფიცირებული აქვს, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით:
 - იმ ფინანსური ვალდებულებების ბუნებას, რომლებიც საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლასიფიცირებული აქვს, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით;

- (ii) ფინანსური ვალდებულებების ამგვარი კლასიფიცირების კრიტერიუმების აღწერას თავდაპირველი აღიარებისას; და
 - (iii) როგორ დააკმაყოფილა საწარმომ ამ საკლასიფიკაციო კატეგორიის მინიჭებისთვის ფასს 9-ის 4.2.2 პუნქტის პირობები.
- აა) იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლასიფიცირებული აქვს, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით:
- (i) იმ აქტივების ბუნებას, რომლებიც საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებულია, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
 - (ii) როგორ დააკმაყოფილა საწარმომ ამ საკლასიფიკაციო კატეგორიის საკუთარი შეხედულებისამებრ მინიჭებისთვის ფასს 9-ის 4.1.5 პუნქტის პირობები.
- ბ) [გაუქმებულია]
- გ) ბაზრის სტანდარტული პირობებით ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვის აღრიცხვისთვის საწარმო გარიგების თარიღით აღრიცხვის მიდგომას იყენებს თუ ანგარიშსწორების თარიღით; (იხ. ფასს 9-ის 3.1.2 პუნქტი)
- დ) [გაუქმებულია]
- ე) როგორ განისაზღვრება წმინდა შემოსულობა ან ზარალი თითოეული კატეგორიის ფინანსური ინსტრუმენტისათვის (იხ. პუნქტი 20(ა)), მაგალითად, მოიცავს თუ არა პროცენტს ან დივიდენდის სახით მიღებულ შემოსავალს ისეთ მუხლებთან დაკავშირებული წმინდა შემოსულობა ან ზარალი, რომლებიც აღირიცხება რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- ვ) [გაუქმებულია]
- ზ) [გაუქმებულია]

ბასს 1-ის (შესწორებული 2007 წელს) 122-ე პუნქტი ასევე მოითხოვს, რომ საწარმომ მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების ამსახველ შენიშვნაში ან სხვა შენიშვნებში განმარტოს ხელმძღვანელობის მსჯელობები და გადაწყვეტილებები (გარდა იმისა, რომლებიც სააღრიცხვო შეფასებებს ეხება), რომელიც ხელმძღვანელობამ მიიღო საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში და ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე.

ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკების ბუნება და დონე (იხ. 31-42-ე პუნქტები)

ბ6. ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც სავალდებულოა 31-42-ე პუნქტების თანახმად, ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული უნდა იყოს უშუალოდ განმარტებით შენიშვნებში ან გაერთიანებული უნდა იყოს ფინანსური ანგარიშგებიდან სხვა დოკუმენტზე მითითების მეშვეობით, როგორცაა, მაგალითად ხელმძღვანელობის კომენტარები ან ანგარიში რისკების შესახებ, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომია ისეთივე პირობებითა და იმავე დროს, როგორც თვითონ ფინანსური ანგარიშგება. თუ ეს ინფორმაცია არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში სხვა დოკუმენტზე მითითებით, ფინანსური ანგარიშგება სრულყოფილი არ იქნება

რაოდენობრივი ინფორმაციის განმარტება (იხ. 34-ე პუნქტი)

ბ7. 34 (ა) პუნქტი მოითხოვს იმ რაოდენობრივი მონაცემების მოკლე მიმოხილვას, რომელიც ეხება რისკის გავლენას საწარმოზე და ეყრდნობა იმავე ინფორმაციას, რომელიც თვითონ საწარმოში უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პერსონალს მიეწოდება. როდესაც საწარმო რისკის მართვისათვის რამდენიმე მეთოდს იყენებს, მან განმარტებით შენიშვნებში ინფორმაცია ისეთი

მეთოდის ან მეთოდების მეშვეობით უნდა გაამჟღავნოს, რომელიც მომხმარებელს უზრუნველყოფს ყველაზე უფრო შესაბამისი და საიმედო ინფორმაციით. ინფორმაციის შესაბამისობა და საიმედოობა განხილულია ბასს 8-ში - „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“.

- ბ8. 34 (გ) პუნქტი მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რისკების კონცენტრაციის ადგილების შესახებ. რისკების კონცენტრაცია წარმოიშობა მსგავსი მახასიათებლების მქონე ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებზეც ანალოგიურად უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკური თუ სხვა ცვლილებები. რისკების კონცენტრაციების დადგენა საჭიროებს მსჯელობას, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება საწარმოს კონკრეტული პირობები და გარემოებები. რისკის კონცენტრაციების შესახებ განმარტებითი შენიშვნები უნდა მოიცავდეს:
- ა) იმის აღწერას, როგორ განსაზღვრავს ხელმძღვანელობა რისკების კონცენტრაციას;
 - ბ) იმ საერთო დამახასიათებელი ნიშნის აღწერას, რომელიც განსაზღვრავს თითოეული რისკის კონცენტრაციას (მაგ., კონტრაქტი, გეოგრაფიული რეგიონი, ვალუტა ან ბაზარი); და
 - გ) ამ მახასიათებლის მქონე ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული რისკის გავლენის ამსახველ სიდიდეს (თანხას).

საკრედიტო რისკის მართვის პრაქტიკა (პუნქტები 35ვ–35ზ)

- ბ8ა. 35ვ(ბ) პუნქტის შესაბამისად, საწარმოს ევალუბა ინფორმაციის გამჟღავნება იმის შესახებ, თუ რა მიიჩნია საწარმომ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობად სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტისთვის და ამ განსაზღვრებების შერჩევის მიზეზები. ფასს 9-ის 5.5.9 პუნქტის შესაბამისად, იმის დადგენა, უნდა აღიარდეს თუ არა ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, ეფუძნება თავდაპირველი აღიარების შემდეგ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკის ზრდას. ინფორმაცია სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის საწარმოს მიერ შემუშავებული განმარტების შესახებ, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმარება იმის გარკვევაში, როგორ იყენებს საწარმო მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან დაკავშირებულ ფასს 9-ის მოთხოვნებს, და შეიძლება მოიცავდეს:
- ა) ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ ხარისხობრივ და რაოდენობრივ ფაქტორებს;
 - ბ) გამოიყენა თუ არა საწარმომ განსხვავებული განსაზღვრებები განსხვავებული ტიპის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; და
 - გ) დაშვებებს გაჯანსაღების ტემპის შესახებ (მაგალითად, იმ ფინანსური აქტივების რაოდენობა, რომლებიც ქმედით სტატუსს უბრუნდება), მას შემდეგ, რაც ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით დაფიქსირდა სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის ფაქტი.
- ბ8ბ. იმისათვის, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმაროს საწარმოს რესტრუქტურისა და მოდიფიცირების პოლიტიკის შეფასებაში, 35ვ(ვ)(ii) პუნქტის მიხედვით, საწარმოს ევალუბა ინფორმაციის გამჟღავნება იმის შესახებ, როგორ ახორციელებს საწარმო მონიტორინგს იმისა, თუ ფინანსური აქტივის ზარალის რეზერვი, რომელიც ადრე გამჟღავნებული იყო 35ვ(ვ)(i) პუნქტის შესაბამისად, შემდგომში რამდენად შეფასდა არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი თანხით, ფასს 9-ის 5.5.3 პუნქტის შესაბამისად. რაოდენობრივი ინფორმაცია, რომელიც მომხმარებლებს დაეხმარება მოდიფიცირებული ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკის შემდგომი ზრდის შესახებ ნათელი წარმოდგენის შექმნაში, შეიძლება იყოს ინფორმაცია იმ მოდიფიცირებული ფინანსური აქტივების შესახებ, რომლებიც აკმაყოფილებს 35ვ(ვ)(i) პუნქტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს და რომლებისთვისაც ზარალის რეზერვის შეფასება უწინდებურად დაუბრუნდა არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხას (ე.ი. გაუარესების განაკვეთი).

ბ8გ. 35ზ(ა) პუნქტის თანახმად, საწარმოს ევალუა ინფორმაციის გამჟღავნება იმ ამოსავალი მონაცემების საფუძვლების, დაშვებებისა და შეფასების მეთოდების შესახებ, რომლებიც გამოიყენა ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნების შესასრულებლად. დაშვებები და ამოსავალი მონაცემები, რომლებიც საწარმომ გამოიყენა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, ან თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის ზრდის დონის განსაზღვრისთვის, შეიძლება მოიცავდეს მონაცემებს, რომლებიც აღებულია შიდა ისტორიული (სტატისტიკური) ინფორმაციიდან ან სარეიტინგო ანგარიშგებიდან და დაშვებებს ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადისა და უზრუნველყოფის გაყიდვის ვადების თაობაზე.

ზარალის რეზერვის ცვლილებები (პუნქტი 35თ)

ბ8დ. 35თ პუნქტის შესაბამისად, საწარმოს ევალუა მოცემული პერიოდის განმავლობაში ზარალის რეზერვის ცვლილებების მიზეზების ახსნა. ამ მიზნით, გარდა იმისა, რომ საწარმო წარმოადგენს ზარალის რეზერვის საწყისი ნაშთისა და საბოლოო ნაშთის შემაჯერებელ ინფორმაციას, შეიძლება აუცილებელი გახდეს აღნიშნული ცვლილებების ნარატიული ახსნა. ნარატიული ახსნა შეიძლება მოიცავდეს პერიოდის განმავლობაში ზარალის რეზერვის ცვლილებების მიზეზებს, მათ შორის:

- ა) პორტფელის შემადგენლობაში;
- ბ) შექმნილი ან შექმნილი ფინანსური ინსტრუმენტების ოდენობაში; და
- გ) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სიმძიმეში.

ბ8ე. სესხის გაცემის ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისთვის ზარალის რეზერვი აღიარდება ანარიცხის სახით. საწარმომ, ფინანსური აქტივების ზარალის რეზერვის ცვლილება უნდა წარმოადგინოს განცალკევებით სესხის გაცემის ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებების ზარალის რეზერვების ცვლილებებისგან. თუმცა, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტი (მაგალითად, ფინანსური აქტივი) შეიცავს როგორც სესხის (ე.ი. ფინანსური აქტივის), ისე აუთვისებელი ვალდებულების (ე.ი. სესხის გაცემის ვალდებულების) კომპონენტს და საწარმოს არ შეუძლია სესხის გაცემის ვალდებულების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენა ფინანსური აქტივის კომპონენტისაგან განცალკევებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სესხის გაცემის ვალდებულების კომპონენტთან დაკავშირებით უნდა აღიარდეს ფინანსური აქტივის ზარალის რეზერვთან ერთად. ანარიცხის სახით უნდა აღიარდეს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი იმ ოდენობით, რა ოდენობითაც გაერთიანებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღემატება ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

უზრუნველყოფა (პუნქტი 35ლ)

ბ8ვ. 35ლ პუნქტის თანახმად, საწარმოს ევალუა ისეთი ინფორმაციის გამჟღავნება, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს უზრუნველყოფა და კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობაზე. საწარმოს არ ევალუა არც უზრუნველყოფისა და კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებების რეალური ღირებულების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება და არც იმ უზრუნველყოფის ღირებულების ზუსტად გამოხატვა რიცხვებში, რომელიც გამოიყენა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ე.ი. ზარალი სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის ფაქტის დადგომისას) გამოთვლებში.

ბ8ზ. უზრუნველყოფასა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობაზე მისი გავლენის შესახებ ნარატიული აღწერილობა შეიძლება მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- ა) უზრუნველყოფის სახით ფლობილი ქონებისა და კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებების ძირითადი ტიპები (როგორცაა, მაგალითად საგარანტიო წერილები, კრედიტის წარმოებულები და ურთიერთგადაფარვის შეთანხმებები, რომლებიც არ აკმაყოფილებს ურთიერთგადაფარვის კრიტერიუმებს ბასს 32-ის შესაბამისად);

- ბ) უზრუნველყოფის სახით ფლობილი ქონებისა და კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებების მოცულობა და მათი მნიშვნელობა ზარალის რეზერვის მაჩვენებლების მიხედვით;
- გ) მიღებული უზრუნველყოფისა და კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებების შეფასებისა და მართვის პოლიტიკა და პროცედურები;
- დ) უზრუნველყოფისა და კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებების კონტრაქტების ძირითადი ტიპები და მათი გადახდისუნარიანობა (კრედიტუნარიანობა); და
- ე) ინფორმაცია რისკების კონცენტრაციის შესახებ მოცემულ უზრუნველყოფასა და კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებებში.

საკრედიტო რისკის პოზიცია (პუნქტები 35ნ–35ო)

- ბ8თ. 35ნ პუნქტის შესაბამისად, საწარმოს ევალუა ინფორმაციის გამჟღავნება საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით საწარმოს საკრედიტო რისკის პოზიციისა და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაციის შესახებ. საკრედიტო რისკის კონცენტრაცია იმ შემთხვევაში არსებობს, როდესაც მრავალი კონტრაქტი ერთ გეოგრაფიულ რეგიონში ფუნქციონირებს, ან მსგავსი საქმიანობით არიან დაკავებული და მსგავსი ეკონომიკური მახასიათებლები აქვთ, რაც გამოიწვევს ეკონომიკური და სხვა პირობების ცვლილებების მსგავს გავლენას მათ შესაძლებლობაზე, შეასრულონ სახელშეკრულებო ვალდებულებები. საწარმომ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, ნათელი წარმოადგენა შეიქმნან იმის შესახებ, არსებობს თუ არა ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფები ან პორტფელები ისეთი მახასიათებლებით, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ამ ჯგუფის დიდ ნაწილზე, როგორცაა, მაგალითად გარკვეული რისკების კონცენტრაცია. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად სესხის თანხისა და უზრუნველყოფის ღირებულების თანაფარდობის მიხედვით დაჯგუფებას, აგრეთვე გეოგრაფიულ, დარგობრივ და ემიტენტის ტიპის მიხედვით კონცენტრაციას.
- ბ8ი. საკრედიტო რისკის რეიტინგის საფეხურების რაოდენობა, რომელიც გამოიყენება 35ნ პუნქტის შესაბამისად ინფორმაციის გასამჟღავნებლად, უნდა შეესაბამებოდეს საკრედიტო რისკის შესაფასებელი კატეგორიების იმ რაოდენობას, რასაც საწარმო უმადლესი რანგის ხელმძღვანელობას წარუდგენს საკრედიტო რისკის მართვის მიზნებისათვის. როდესაც ვადაგადაცილების შესახებ ინფორმაცია მსესხებლისთვის დამახასიათებელი ერთადერთი ხელმისაწვდომი ინფორმაციაა და საწარმო ვადაგადაცილების შესახებ ინფორმაციას იყენებს იმის შესაფასებლად, საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფასს 9-ის 5.5.11 პუნქტის შესაბამისად, საწარმომ ამ ფინანსური აქტივების შესახებ უნდა წარმოადგინოს ანალიზი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით.
- ბ8კ. თუ საწარმომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი კოლექტიურ საფუძველზე შეაფასა, საწარმომ შეიძლება ვერ შეძლოს ინდივიდუალური ფინანსური აქტივების მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულების, ან სესხის გაცემის ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებების საკრედიტო რისკის პოზიციის მიკუთვნება საკრედიტო რისკის რეიტინგის საფეხურებზე, რომელთათვისაც არსებობს მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება. ასეთ შემთხვევაში, საწარმომ 35ნ პუნქტის მოთხოვნები უნდა გამოიყენოს იმ ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება პირდაპირ მიეკუთვნოს საკრედიტო რისკის რეიტინგის საფეხურებს და ცალკე აჩვენოს იმ ფინანსური ინსტრუმენტების მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულება, რომელთათვისაც მათი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასებულია კოლექტიურად.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა (პუნქტი 36 (ა))

- ბ9. 35ლ (ა) და 36(ა) პუნქტის შესაბამისად, საწარმოს ევალუა იმ თანხის გამჟღავნება, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ გავლენას საწარმოზე. ფინანსური აქტივისათვის, როგორც წესი, ეს არის მთლიანი საბალანსო ღირებულება, რომელსაც გამოკლებული აქვს:

- ა) ბასს 32-ის შესაბამისად ურთიერთგადაფარული ნებისმიერი თანხა; და
- ბ) ფასს 9-ის შესაბამისად აღიარებული ზარალის რეზერვის თანხა.

ბ10. საქმიანობები, რომლებიც წარმოშობს საკრედიტო რისკს და საკრედიტო რისკის მაქსიმალურ გავლენას საწარმოზე, მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მარტო შემდეგით:

- ა) სესხების გაცემას მომხმარებელზე და დეპოზიტების განთავსებას სხვა საწარმოებში. ასეთ შემთხვევებში, საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა წარმოადგენს შესაბამისი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას;
- ბ) ხელშეკრულებების დადება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, მაგალითად ხელშეკრულებები სავალუტო კურსზე, საპროცენტო განაკვეთების სვოპები და კრედიტის წარმოებულები. როდესაც შესაბამისი აქტივი რეალური ღირებულებით არის შეფასებული, საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა საანგარიშგებო თარიღისათვის მისი საბალანსო ღირებულების ტოლი იქნება;
- გ) ფინანსური გარანტიების გაცემა. ასეთ შემთხვევაში, საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა არის მაქსიმალური თანხა, რომლის გადახდაც საწარმოს შეუძლია, თუ გარანტია გამოთხოვნილ იქნება, რაც პრაქტიკაში შეიძლება მნიშვნელოვნად უფრო დიდი თანხა იყოს, ვალდებულების სახით აღიარებულ თანხასთან შედარებით;
- დ) ისეთი სესხის გაცემის ვალდებულების აღება, რომელიც არ შეიცვლება სესხის ვადის განმავლობაში ან შეიცვლება მხოლოდ არსებითი უარყოფითი ცვლილების შემთხვევაში. თუ სესხის გამცემს არ შეუძლია სასეხო ვალდებულების დაფარვა წმინდა ფულადი სახსრებით ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის მეშვეობით, საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა იქნება ამ ვალდებულების მთლიანი თანხა. ეს იმიტომ, რომ გაურკვეველია, შესაძლებელია თუ არა მომავალში სესხის რომელიმე დაუფარავი ნაწილის დაფარვა. ეს თანხა შეიძლება მნიშვნელოვნად დიდი იყოს ვალდებულების სახით აღიარებულ თანხასთან შედარებით.

რაოდენობრივი ინფორმაციის განმარტება ლიკვიდობის რისკის შესახებ (პუნქტები 34(ა) და 39(ა) და (ბ))

ბ10ა. 34(ა) პუნქტის შესაბამისად, საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა ასახოს ლიკვიდობის რისკზე მისი დამოკიდებულების შესახებ რაოდენობრივი მონაცემების მოკლე მიმოხილვა, იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც თვითონ საწარმოში უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პერსონალს მიეწოდება. საწარმომ უნდა განმარტოს, როგორ განისაზღვრა აღნიშნული მონაცემები. თუ შესაძლებელია, რომ ამ მონაცემებში გათვალისწინებული ფულადი სახსრების (ან სხვა ფინანსური აქტივის) საწარმოდან გასვლა:

- ა) იმაზე უფრო მნიშვნელოვნად ადრე მოხდეს, რაც ამ მონაცემებშია ნაჩვენები; ან
- ბ) მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ სიდიდეებისაგან, რაც მონაცემებშია ნაჩვენები (მაგ., წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომელიც ამ მონაცემებში გათვალისწინებულია ნეტო საანგარიშსწორებო საფუძველზე, მაგრამ რომლის კონტრაქტს გააჩნია მთლიანი საანგარიშსწორებო თანხის მოთხოვნის უფლება),

საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი და წარმოადგინოს ისეთი რაოდენობრივი ინფორმაცია, რომ მისი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებმა შეძლონ აღნიშნული რისკის ხარისხის შეფასება, თუ ეს ინფორმაცია არ არის მოცემული 39(ა) ან (ბ) პუნქტით მოთხოვნილ სახელშეკრულებო დაფარვის ვადების ანალიზში.

ბ11. 39 (ა) და (ბ) პუნქტების შესაბამისად ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადების ანალიზის მომზადებისას, საწარმო მიმართავს განსჯას, რათა განსაზღვროს დროის ინტერვალები. მაგალითად, საწარმომ შეიძლება შესაფერისად მიიჩნიოს შემდეგი ინტერვალები:

- ა) არა უგვიანეს ერთი თვისა;
- ბ) ერთი თვის შემდეგ და არა უგვიანეს სამი თვისა;

- გ) სამი თვიდან ერთ წლამდე ვადის; და
- დ) ერთი წლიდან ხუთ წლამდე ვადის.
- ბ11ა. 39(ა) და (ბ) პუნქტის მოთხოვნის შესასრულებლად საწარმომ არ უნდა გამოაცალკევოს ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი ჰიბრიდული (კომბინირებული) ფინანსური ინსტრუმენტიდან. ამგვარი ინსტრუმენტის მიმართ საწარმომ უნდა გამოიყენოს 39(ა) პუნქტი.
- ბ11ბ. 39(ბ) პუნქტი მოითხოვს, რომ საწარმომ განმარტებით შენიშვნებში წარმოადგინოს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების დაფარვის ვადების რაოდენობრივი ანალიზი, საიდანაც გამოჩნდება დარჩენილი სახელშეკრულებო ვადები, თუ ეს სახელშეკრულებო ვადები არსებითად საწარმოს ფულადი ნაკადების მოძრაობის დროის გასაგებად. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს:
- ა) საპროცენტო განაკვეთის სვოპი, რომლის დარჩენილი დაფარვის ვადა არის ხუთი წელი, ცვალებადგანაკვეთიანი ფინანსური აქტივის ან ვალდებულების ფულადი ნაკადის ჰეჯირების დროს;
- ბ) ყველანაირი სესხის გაცემის ვალდებულება.
- ბ11გ. 39(ა) და (ბ) პუნქტი მოითხოვს, რომ საწარმომ ფინანსური ვალდებულებებისთვისაც წარმოადგინოს დაფარვის ვადების ანალიზი, საიდანაც გამოჩნდება ზოგიერთი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადა. ამ საკითხზე მომზადებულ განმარტებით შენიშვნაში:
- ა) როდესაც კონტრაპტენტს აქვს თანხის გადახდის ვადის არჩევანის უფლება, ვალდებულება მიეკუთვნება იმ თავდაპირველ პერიოდს, როდესაც საწარმოს შეიძლება მოეთხოვოს გადახდა. მაგალითად, ფინანსური ვალდებულებები, რომელთა გადახდაც საწარმოს შეიძლება მოეთხოვოს მოთხოვნისთანავე (მაგ., მოთხოვნამდე დეპოზიტები), აისახება დროის მონაკვეთის თავდაპირველ დიაპაზონში;
- ბ) როდესაც საწარმოს თანხების გადახდა ევალება ნაწილ-ნაწილ, თითოეული ნაწილი მიეკუთვნება იმ თავდაპირველ პერიოდს, როდესაც საწარმოს შეიძლება მოეთხოვოს გადახდა. მაგალითად, სესხის გაცემის აუთვისებელი ვალდებულება აისახება იმ პერიოდში, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე ადრინდელი თარიღი, როდესაც შესაძლებელი იყო მისი გამოყენება (ათვისება);
- გ) გაცემული ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებისთვის, გარანტიის მაქსიმალური სიდიდე მიეკუთვნება იმ თავდაპირველ პერიოდს, როდესაც შესაძლებელია გარანტიის მოთხოვნა.
- ბ11დ. 39(ა) და (ბ) პუნქტის შესაბამისად მომზადებულ სახელშეკრულებო დაფარვის ვადების ანალიზში გამჟღავნებული თანხები წარმოადგენს სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, მაგალითად:
- ა) მთლიან საიჯარო ვალდებულებებს (ფინანსური ხარჯების გამოქვითვამდე);
- ბ) ფინანსური აქტივების ფულადი სახსრებით შესასყიდ ფასებს, რომლებიც განსაზღვრულია ფორვარდული გარიგებით;
- გ) წმინდა თანხებს, რომლებიც დაკავშირებულია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთების გადახდის/ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების მიღების საპროცენტო განაკვეთების ისეთ სვოპებთან, რომლებიც ითვალისწინებს წმინდა ფულადი სახსრებით გაცვლას;
- დ) სახელშეკრულებო თანხებს, რომლებიც უნდა გაიცვალოს ისეთ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტზე (მაგ., სავალუტო სვოპი), რომელიც ითვალისწინებს მთლიანი (ბრუტო) ფულადი სახსრებით გაცვლას; და
- ე) მთლიან სესხის გაცემის ვალდებულებებს.
- ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხისაგან, ვინაიდან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თანხები დისკონტირებულ ფულად ნაკადებს ეყრდნობა. როდესაც გადასახდელი თანხა ფიქსირებული არ არის, განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებელი თანხა განისაზღვრება

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების გათვალისწინებით. მაგალითად, როდესაც გადასახდელი თანხა დამოკიდებულია ამა თუ იმ ინდექსის ცვლილებებზე, განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებელი თანხა შეიძლება დაეყრდნოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულ ინდექსის დონეს.

ბ11ე. 39(გ) პუნქტი მოითხოვს, რომ საწარმომ აჩვენოს, როგორ მართავს იმ მუხლებთან დაკავშირებულ ლიკვიდობის რისკს, რომლებიც მონაწილეობს 39(ა) და (ბ) პუნქტებით მოთხოვნილ რაოდენობრივ ინფორმაციაში. საწარმომ უნდა წარმოადგინოს სახელშეკრულებო დაფარვის ვადების ანალიზი იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც გამიზნული აქვს ლიკვიდობის რისკის მართვაში გამოსაყენებლად (მაგ., ფინანსური აქტივები, რომლებიც ადვილად რეალიზებადია, ან მოსალოდნელია, რომ საწარმოს მოუტანს ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულებების დასაფარად), თუ ეს ინფორმაცია აუცილებელია იმისათვის, რომ მისი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებმა შეძლონ ლიკვიდობის რისკის ხასიათისა და დონის შეფასება.

ბ11ვ. 39(გ) პუნქტით გათვალისწინებული განმარტებითი ინფორმაციის მოსამზადებლად საწარმოს შეუძლია განიხილოს სხვა ფაქტორებიც, მაგალითად, ქვემოთ განხილული (თუმცა, შეზღუდული არ არის ამ ფაქტორებით), კერძოდ, აქვს თუ არა საწარმოს:

- ა) ნასესხები სახსრები (მაგ., მოკლევადიანი კომერციული კრედიტის დოკუმენტები), ან კრედიტის სხვა საშუალებები (მაგ., სარეზერვო საკრედიტო სახსრები), რომელზეც ხელი მიუწვდება მას ლიკვიდობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად;
- ბ) დეპოზიტები ცენტრალურ ბანკებში ლიკვიდობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად;
- გ) დაფინანსების მრავალფეროვანი წყაროები;
- დ) ლიკვიდობის რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია ან თავის აქტივებში, ან დაფინანსების წყაროებში;
- ე) შიდა კონტროლის პროცედურები და ლიკვიდობის რისკის მართვის სარეზერვო გეგმები;
- ვ) ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს დაჩქარებული გადახდის პირობებს (მაგ., საწარმოს საკრედიტო რეიტინგის დაცემის შემთხვევაში);
- ზ) ინსტრუმენტები, რომლებსაც შეუძლია უზრუნველყოფის შეცვლის მოთხოვნა (მაგ., დამატებითი უზრუნველყოფის მოთხოვნა წარმოებული ინსტრუმენტისთვის);
- თ) ინსტრუმენტები, რომლებიც საწარმოს თავისი ფინანსური ვალდებულებების დაფარვის გზების არჩევანის უფლებას აძლევს: ფულით (ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებით) გადაიხადოს, თუ საკუთარი აქციებით; ან
- ი) ინსტრუმენტები, რომლებიც ურთიერთჩათვლის შეთანხმების საგანია.

ბ12-

ბ16. [გაუქმებულია]

საბაზრო რისკი - მგრძობელობის ანალიზი (პუნქტები მე-40 და 41-ე)

ბ17. 40 (ა) პუნქტი მოითხოვს მგრძობელობის ანალიზს თითოეული ტიპის საბაზრო რისკის მიხედვით, რომელიც გავლენას ახდენს საწარმოზე. ბ3 პუნქტის შესაბამისად, საწარმო გადაწყვეტს, როგორ უნდა მოახდინოს ინფორმაციის აგრეგირება საერთო სურათის წარმოსაჩენად ისე, რომ არ გააერთიანოს სხვადასხვა მახასიათებლების მქონე ინფორმაცია, რომელიც ეხება მნიშვნელოვნად განსხვავებულ ეკონომიკურ გარემოში წარმოშობილი რისკების გავლენას საწარმოზე. მაგალითად:

- ა) საწარმომ, რომელიც ვაჭრობს ფინანსური ინსტრუმენტებით, ეს ინფორმაცია ცალცალკე უნდა გაამჟღავნოს სავაჭროდ გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტებისათვის და ისეთი ფინანსური ინსტრუმენტებისათვის, რომლებიც სავაჭროდ არ არის გამიზნული;

- ბ) საწარმომ ჰიპერინფლაციური რეგიონების საბაზრო რისკების გავლენის შესახებ ინფორმაცია არ უნდა გააერთიანოს შედარებით დაბალი ინფლაციის დონის მქონე რეგიონების იმავე ტიპის საბაზრო რისკების გავლენის შესახებ ინფორმაციასთან.

თუ საწარმოზე გავლენას ახდენს მარტო ერთ ეკონომიკურ გარემოსთან დაკავშირებული მარტო ერთი ტიპის საბაზრო რისკი, მას არ ევალება დეზაგრეგირებული ინფორმაციის წარმოდგენა.

- ბ18. 40 (ა) პუნქტი მოითხოვს მგრძობელობის ანალიზს, რომლის მიზანია გამოჩინდეს რისკის შესაბამისი ცვლადის (მაგ., მოქმედი საბაზრო საპროცენტო განაკვეთების, სვალუტო კურსების, აქციების ან საქონლის ფასების) გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების გავლენა მოგებაზე ან ზარალზე და საკუთარ კაპიტალზე. ამ მიზნით:

- ა) საწარმოს არ მოეთხოვება იმის განსაზღვრა, რამდენი უნდა ყოფილიყო მოცემული პერიოდის მოგება ან ზარალი, თუ რისკის შესაბამისი ცვლადები სხვანაირი იქნებოდა. ნაცვლად ამისა, საწარმო აჩვენებს რისკის გავლენას მოგებაზე ან ზარალზე და საკუთარ კაპიტალზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სადაც ნაგულისხმევი იქნება, რომ რისკის შესაბამისი ცვლადში გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილება მოხდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და გამოყენებულ იქნა ამ თარიღისათვის არსებული რისკის გავლენის მიმართ. მაგალითად, თუ საწარმოს აქვს ცვალებადგანაკვეთიანი ვალდებულება საანგარიშგებო წლის ბოლოს, მან უნდა აჩვენოს გავლენა მიმდინარე წლის მოგებაზე ან ზარალზე (ე.ი. საპროცენტო ხარჯი), თუ საპროცენტო განაკვეთები განსხვავებული იყო გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი სიდიდებით;

- ბ) საწარმოს არ მოეთხოვება მოგებაზე ან ზარალზე და საკუთარ კაპიტალზე გავლენის ჩვენება თითოეული ცვლილებისათვის, რისკის შესაფერისი ცვლადის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილებების დიაპაზონიდან. საკმარისი იქნება ამ გავლენის განმარტება გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილებების დიაპაზონის ზღვრების მიხედვით.

- ბ19. იმის დასადგენად, რა იქნება რისკის შესაბამისი ცვლადისათვის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილება, საწარმომ უნდა განიხილოს:

- ა) ეკონომიკური გარემო, რომელშიც ეწევა საქმიანობას. გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილება არ უნდა ითვალისწინებდეს „შორეულ“ ან „ყველაზე უარეს“ სცენარებს ან „სტრესული მდგომარეობის ტესტებს“. გარდა ამისა, თუ რისკის შესაბამისი ცვლადში ცვლილების დონე სტაბილურია, საწარმოს არ სჭირდება რისკის მოცემული ცვლადისთვის შერჩეული, გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების დიაპაზონის შეცვლა. მაგალითად, დაუშვათ, რომ საპროცენტო განაკვეთი არის 5 % და საწარმო განსაზღვრავს, რომ გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია საპროცენტო განაკვეთების რყევა ± 50 მეასედი პროცენტით. მან მოგებაზე ან ზარალზე და საკუთარ კაპიტალზე გავლენა მაშინ უნდა აჩვენოს, თუ საპროცენტო განაკვეთები შეიცვალა 4,5 %-მდე ან 5,5 %-მდე. ვთქვათ, მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა 5,5 %-მდე. საწარმოს ხელმძღვანელობას კვლავ მიაჩნია, რომ საპროცენტო განაკვეთები შეიძლება იცვლებოდეს ± 50 ერთეულით (ე.ი. საპროცენტო განაკვეთების ცვლილების დონე სტაბილურია). საწარმომ მოგებაზე ან ზარალზე და საკუთარ კაპიტალზე გავლენა მაშინ უნდა აჩვენოს, თუ საპროცენტო განაკვეთები შეიცვლება 5 %-მდე ან 6 %-მდე. საწარმოს არ მოეთხოვება თავისი შეფასების შესწორება იმის შესახებ, რომ საპროცენტო განაკვეთები გონივრულობის ფარგლებში შეიძლება იცვლებოდეს ± 50 ერთეულის ფარგლებში, თუ არ იარსებებს მტკიცებულება იმისა, რომ საპროცენტო განაკვეთები მნიშვნელოვნად უფრო ცვალებადი გახდა;

- ბ) დროის ინტერვალი, რომელზეც საწარმო შეფასებას აკეთებს. მგრძობელობის ანალიზიდან უნდა გამოჩინდეს ისეთი ცვლილებების გავლენა, რომლებიც გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ ცვლილებად მიიჩნევა იმ პერიოდის განმავლობაში, საწარმო ხელახლა არ მოამზადებს ამავე განმარტებებს, რაც, როგორც წესი, არის მისი მომდევნო საანგარიშგებო პერიოდი.

- ბ20. 41-ე პუნქტი საწარმოს უფლებას აძლევს, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარმოადგინოს ისეთი ტიპის მგრძნობელობის ანალიზი, რომელიც ასახავს რისკის ცვლადებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას, როგორცაა, მაგალითად ანალიზი რისკზე დაფუძნებული შეფასების მოდელებით, თუ ის ამავე ანალიზს იყენებს ფინანსური რისკების მართვისთვის. ეს ეხება ისეთ შემთხვევასაც, როდესაც შეფასების მეთოდით შესაძლებელია მხოლოდ პოტენციური ზარალის შეფასება და არ შეიძლება პოტენციური შემოსულობის შეფასება. ამ ტიპის საწარმომ 41(ა) პუნქტის მოთხოვნების შესასრულებლად შეიძლება გაამყდავნოს გამოყენებული, რისკზე დაფუძნებული შეფასების მოდელის ტიპი (მაგ., ეყრდნობა თუ არა ეს მოდელი მონტე კარლოს მოდელირებას), ასევე განმარტოს, როგორ მუშაობს ეს მოდელი და რომელ ძირითად დაშვებებს ეყრდნობა (მაგ., ფასიანი ქაღალდების ფლობის პერიოდი და სანდოობის დონე). საწარმოს შეუძლია ასევე აჩვენოს წარსული დაკვირვების პერიოდი და შეწონილი სიდიდეები, რომელიც გამოიყენა ამ პერიოდის დაკვირვებებისათვის, ახსნას, როგორ გაითვალისწინა გამოთვლებში ვარიანტები და ასევე ცვალებადობისა და კორელაციური კავშირების რომელი კოეფიციენტები გამოიყენა (თუ, ალტერნატიულად, ალბათობების განაწილების მონტე კარლოს მოდელი გამოიყენა).
- ბ21. საწარმომ მგრძნობელობის ანალიზი უნდა წარმოადგინოს მთელი მისი ბიზნესისათვის, მაგრამ შეუძლია სხვადასხვა კატეგორიის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის სხვადასხვა ტიპის მგრძნობელობის ანალიზი აჩვენოს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

- ბ22. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებიდან (მაგალითად, შეძენილი ან გამოშვებული სავალო ინსტრუმენტები) და ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტიდან, რომელიც აღიარებული არ არის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (მაგალითად, სესხის გაცემის ზოგიერთი ვალდებულება).

სავალუტო რისკი

- ბ23. *სავალუტო რისკი* (ანუ სავალუტო გაცვლითი კურსის რისკი) წარმოიშობა ისეთი ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც გამოსახულია უცხოური ვალუტით, ე.ი. ვალუტით, რომელიც არ არის საწარმოს სამუშაო ვალუტა. მაგალითად, ამ სტანდარტის მიზნებისათვის სავალუტო რისკი არ წარმოიშობა არც ისეთი ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც არაფულად მუხლებს წარმოადგენს და არც საწარმოს სამუშაო ვალუტით გამოსახული ფინანსური ინსტრუმენტებიდან.
- ბ24. მგრძნობელობის ანალიზი წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული ვალუტის მიხედვით, რომელიც საწარმოზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

სხვა ფასების რისკი

- ბ25. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოიშობა სხვა ფასების რისკიც, მაგალითად, საქონლის ფასების ან აქციების ფასების ცვლილების გამო. მე-40 პუნქტის მოთხოვნების შესასრულებლად, საწარმომ უნდა აჩვენოს გარკვეული საფონდო ბირჟის ინდექსის, საქონლის ფასის ან რისკის სხვა ცვლადების შემცირების გავლენა. მაგალითად, თუ საწარმო გარანტიას იძლევა ფინანსური ინსტრუმენტების ნარჩენ ღირებულებაზე, მან უნდა აჩვენოს იმ აქტივების ღირებულების შემცირება ან ზრდა, რომელსაც ეს გარანტია ეხება.
- ბ26. ორი თვალსაჩინო მაგალითი ისეთი ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც წარმოშობს აქციების ფასების რისკს, არის (ა) საწარმოს მიერ სხვა საწარმოს აქციების ფლობა და (ბ) ინვესტიცია ისეთ სატრასტო ორგანიზაციაში, რომელსაც თავის მხრივ ინვესტიციები აქვს ჩადებული წილობრივ ინსტრუმენტებში. სხვა მაგალითებია: ფორვარდული გარიგებები და წინასწარ განსაზღვრული რაოდენობის წილობრივი ინსტრუმენტის ყიდვის ან გაყიდვის ოფციონები და სვოპები, რომლებიც ინდექსირებულია აქციების ფასებით. ამგვარი ფინანსური

ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებაზე გავლენას ახდენს შესაბამისი წილობრივი ინსტრუმენტების საბაზრო ფასის ცვლილებები.

- ბ27. 40(ა) პუნქტის შესაბამისად, ანალიზში ცალ-ცალკე უნდა იყოს ნაჩვენები მოგების ან ზარალის მგრძობელობა (მაგალითად, წარმოშობილი ისეთი ინსტრუმენტებიდან, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით) და სხვა სრული შემოსავლის მგრძობელობა (მაგალითად, რომელიც წარმოიშობა ისეთ წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციებიდან, რომლის რეალური ღირებულების ცვლილება აისახება სხვა სრულ შემოსავალში).
- ბ28. არ ხდება წილობრივ ინსტრუმენტებად კლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტების ხელახალი შეფასება. ამ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივების ფასის რისკი გავლენას არ ახდენს არც მოგება-ზარალზე და არც საკუთარ კაპიტალზე. შესაბამისად, არ მოითხოვება მგრძობელობის ანალიზიც.

აღიარების შეწყვეტა (პუნქტები 42გ-42თ)

შენარჩუნებული მონაწილეობა (პუნქტი 42გ)

- ბ29. 42ე-42თ პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესრულების მიზნებისთვის გადაცემულ ფინანსურ აქტივში შენარჩუნებული მონაწილეობის არსებობის შეფასება ტარდება ანგარიშვალდებული საწარმოს დონეზე. მაგალითად, თუ შვილობილი საწარმო ფინანსურ აქტივს გადასცემს არადაკავშირებულ მესამე მხარეს, რომელშიც ამ შვილობილი საწარმოს მშობელი საწარმო ინარჩუნებს მონაწილეობას, შვილობილი საწარმო თავის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში არ ითვალისწინებს მშობელი საწარმოს შენარჩუნებულ მონაწილეობას, როდესაც აფასებს, ინარჩუნებს თუ არა ის მონაწილეობას გადაცემულ აქტივში (ე.ი. როდესაც ზემოაღნიშნული შვილობილი საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმო). თუმცა, მშობელმა საწარმომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა გაითვალისწინოს თავისი (ან ჯგუფის რომელიმე სხვა წევრის) შენარჩუნებული მონაწილეობა ფინანსურ აქტივში, რომელიც გადასცა შვილობილმა საწარმომ, როდესაც აფასებს, ინარჩუნებს თუ არა მონაწილეობას გადაცემულ აქტივში (ე.ი. როდესაც ანგარიშვალდებული საწარმო არის ჯგუფი).
- ბ30. მიიჩნევა, რომ საწარმო არ ინარჩუნებს მონაწილეობას გადაცემულ ფინანსურ აქტივში, თუ საწარმო მისი გადაცემის შეთანხმების ფარგლებში არ ინარჩუნებს მოცემული ფინანსური აქტივის გადაცემისთვის დამახასიათებელ არანაირ სახელშეკრულებო უფლებას ან ვალდებულებას, არც გადაცემულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებით იღებს ახალ სახელშეკრულებო უფლებებს ან ვალდებულებებს. მიიჩნევა, რომ საწარმო არ ინარჩუნებს მონაწილეობას გადაცემულ ფინანსურ აქტივში, თუ მას არ გააჩნია წილი გადაცემული ფინანსური აქტივიდან მომავალში მისაღებ შედეგებში და არც არანაირ გარემოებებში არ წარმოიქმნება ვალდებულება იმისა, რომ საწარმომ მომავალში რაიმე უნდა გადაიხადოს გადაცემულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებით. ამ კონტექსტში „გადახდა“ არ მოიცავს გადაცემულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ ისეთ ფულად ნაკადებს, რომელსაც საწარმო იღებს, მაგრამ მოეთხოვება ფინანსური აქტივის მიმღებისთვის გადაცემა.
- ბ30ა. როდესაც საწარმო ფინანსურ აქტივს გადასცემს, შეიძლება მან შეინარჩუნოს ამ აქტივის მომსახურების უფლება გარკვეული საზღაურის მიღების სანაცვლოდ, რომელიც გათვალისწინებულია, მაგალითად, მომსახურების ხელშეკრულებაში. საწარმო მომსახურების ხელშეკრულებას აფასებს 42გ და ბ30 პუნქტებში ჩამოყალიბებული მითითებების შესაბამისად, რათა ინფორმაციის გამჟღავნების მიზნებისთვის დაადგინოს, მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად მას შენარჩუნებული აქვს თუ არა მონაწილეობა. მაგალითად, მომსახურების გამწევ საწარმოს, ინფორმაციის გამჟღავნების მიზნებისთვის, მაშინ აქვს გადაცემულ ფინანსურ აქტივში შენარჩუნებული მონაწილეობა, თუ მომსახურების საზღაური დამოკიდებულია გადაცემული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადების ოდენობაზე, ან მიღების დროზე. ანალოგიურად, მომსახურების გამწევ საწარმოს, ინფორმაციის გამჟღავნების მიზნებისთვის, მაშინ აქვს გადაცემულ ფინანსურ აქტივში შენარჩუნებული მონაწილეობა, თუ

წინასწარ დადგენილი ფიქსირებული საზღაურის გადახდა სრულად არ მოხდება, თუ გადაცემული აქტივთან დაკავშირებული რაიმე პირობა არ შესრულდება. ამ მაგალითებში, მომსახურების გამწევი საწარმო დაინტერესებულია ფინანსური აქტივის შედეგებით. ზემოაღნიშნული შეფასება დამოკიდებული არ არის იმაზე, მოსალოდნელია თუ არა რომ მისაღები საზღაური საწარმოს ადეკვატურად აუნაზღაურებს გაწეულ მომსახურებას.

- ბ31. გადაცემულ ფინანსურ აქტივში შენარჩუნებული მონაწილეობა შეიძლება განაპირობოს აქტივის გადაცემის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულმა სახელშეკრულებო დებულებებმა, ან აქტივის მიმღებთან, ან სხვა მხარესთან ცალკე შეთანხმების დადებამ აქტივის გადაცემასთან დაკავშირებით.

გადაცემული ფინანსური აქტივები, რომელთა აღიარება მთლიანად არ შეწყვეტილა (პუნქტი 42დ)

- ბ32. წინამდებარე სტანდარტის 42დ პუნქტი მოითხოვს გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნებას იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა გადაცემული აქტივი, ან მათი ნაწილი არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს. ამ ინფორმაციის გამჟღავნება მოითხოვება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რომლის დროსაც საწარმო აგრძელებს გადაცემული ფინანსური აქტივების აღიარებას, იმის მიუხედავად, როდის მოხდა აქტივების გადაცემა.

შენარჩუნებული მონაწილეობის სახეები (პუნქტები 42ე-42თ)

- ბ33. 42ე-42თ პუნქტები მოითხოვს გარკვეული ხარისხობრივი და რაოდენობრივი ხასიათის ინფორმაციის გამჟღავნებას ნებისმიერი ტიპის შენარჩუნებული მონაწილეობის შესახებ ისეთ ფინანსურ აქტივებში, რომელთა აღიარებაც შეწყდა. საწარმომ სხვადასხვა ტიპის შენარჩუნებული მონაწილეობა უნდა გააერთიანოს ისეთ კატეგორიებად, რომელიც წარმოაჩენს საწარმოს დაქვემდებარებას რისკებზე. მაგალითად, საწარმოს შეუძლია შენარჩუნებული მონაწილეობის აგრეგირება ფინანსური ინსტრუმენტების ტიპების მიხედვით (მაგალითად, გარანტიები და ქოლ-ოფციონები), ან გადაცემის ტიპების მიხედვით (მაგალითად, მოთხოვნების ფაქტორინგი, სეკურიტიზაცია და სესხის გაცემა ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფით).

გადაცემული აქტივების გამოსასყიდი არადისკონტირებული ფულადი ნაკადების ვადების ანალიზი (პუნქტი 42ე(ე))

- ბ34. 42ე(ე) პუნქტი მოითხოვს, რომ საწარმომ, ისეთ გადაცემულ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით, რომელთა აღიარებაც შეწყდა, წარმოადგინოს გადაცემული ფინანსური აქტივების გამოსასყიდი არადისკონტირებული ფულადი ნაკადების, ან სხვა თანხების ვადების ანალიზი, რომელიც გადასახდელი აქვს საწარმოს აქტივების მიმღებისთვის. ამასთან, მიუთითოს დარჩენილი სახელშეკრულებო ვადები, რომლებიც ეხება საწარმოს შენარჩუნებულ მონაწილეობას ამგვარ აქტივებში. ზემოაღნიშნულ ანალიზში გამიჯნული უნდა იყოს ფულადი სახსრები, რომელიც საწარმომ აუცილებლად უნდა გადაიხადოს (მაგალითად, ფორვარდული გარიგებების შესაბამისად), ფულადი სახსრები, რომლის გადახდაც შეიძლება მოუწიოს საწარმოს (მაგალითად, გაყიდულ ფუთ-ოფციონებთან დაკავშირებით) და ფულადი სახსრები, რომელიც საწარმომ შეიძლება გადაიხადოს თავისი ნებით (მაგალითად, ნაყიდ ქოლ-ოფციონებთან დაკავშირებით).

- ბ35. საწარმომ 42ე(ე) პუნქტით მოთხოვნილი ანალიზისთვის თვითონ უნდა გადაწყვიტოს, საჭიროებისამებრ, საანალიზო ვადების ინტერვალების რაოდენობა. მაგალითად, საწარმომ შეიძლება გადაწყვიტოს, რომ მისაღებია ვადების შემდეგი ინტერვალების გამოყენება:

- ა) არა უგვიანეს ერთი თვისა;
- ბ) ერთი თვის შემდეგ და არა უგვიანეს სამი თვისა;
- გ) სამი თვის შემდეგ და არა უგვიანეს ექვსი თვისა;

- დ) ექვსი თვის შემდეგ და არა უგვიანეს ერთი წლისა;
- ე) ერთი წლის შემდეგ და არა უგვიანეს სამი წლისა;
- ვ) სამი წლის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა; და
- ზ) ხუთი წლის შემდეგ.

ბ36. თუ არსებობს გადახდის ვადების რამდენიმე შესაძლო ვარიანტი, საწარმომ ფულადი სახსრების მიკუთვნება უნდა განახორციელოს ყველაზე უახლოესი (პირველი) თარიღის საფუძველზე, როდესაც საწარმოს შეიძლება წარმოექმნას გადახდის ვალდებულება, ან მიეცეს გადახდის უფლება.

ხარისხობრივი ინფორმაცია (პუნქტი 42ე(ვ))

ბ37. ხარისხობრივი ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც მოითხოვება 42ე(ვ) პუნქტით, მოიცავს იმ ფინანსური აქტივების აღწერას, რომელთა აღიარებაც შეწყდა და ასევე საწარმოს შენარჩუნებული მონაწილეობის ხასიათისა და მიზნის აღწერას, რომელიც შენარჩუნებულია ამ აქტივების გადაცემის შემდეგ. გარდა ამისა, ითვალისწინებს იმ რისკების აღწერასაც, რომლებსაც საწარმო ექვემდებარება, მათ შორის:

- ა) იმის აღწერას, როგორ მართავს საწარმო რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია მის შენარჩუნებულ მონაწილეობასთან ფინანსურ აქტივებში, რომელთა აღიარება შეწყდა;
- ბ) ვალდებულია თუ არა საწარმო სხვა მხარეთა წინაშე ზარალის საკუთარ თავზე აღებაზე და რა დონისა და ოდენობის ზარალის გაწევა უწევთ სხვა მხარეებს, რომლებსაც უფრო დაბალი კლასის წილები აქვთ აქტივში, ვიდრე საწარმოს (ე.ი. მისი შენარჩუნებული მონაწილეობა აქტივში);
- გ) ნებისმიერი გარემოების აღწერა, რომელიც იწვევს გადაცემულ აქტივთან დაკავშირებით ვალდებულების წარმოშობას, კერძოდ, ფინანსური დახმარების აღმოჩენის ან გადაცემული აქტივის გამოსყიდვის ვალდებულების.

აღიარების შეწყვეტით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (პუნქტი 42ზ(ა))

ბ38. 42ზ(ა) პუნქტი მოითხოვს, რომ საწარმომ წარმოადგინოს ინფორმაცია ისეთი ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტით წარმოქმნილი შემოსულობის, ან ზარალის შესახებ, რომელშიც საწარმო ინარჩუნებს მონაწილეობას. საწარმომ უნდა განმარტოს, აღიარების შეწყვეტისას შემოსულობა ან ზარალი ხომ არ წარმოიქმნა იმის გამო, რომ ადრე აღიარებული აქტივის კომპონენტების რეალური ღირებულება (ე.ი. წილი აქტივში, რომლის აღიარებაც შეწყდა და წილი აქტივში, რომელიც შეუნარჩუნდა საწარმოს) განსხვავდებოდა ადრე აღიარებული მთლიანი აქტივის რეალური ღირებულებისაგან. ასეთ შემთხვევაში, საწარმომ ზემოაღნიშნულის გარდა ასევე უნდა განმარტოს, რეალური ღირებულების შეფასებები მოიცავდა თუ არა ისეთ მნიშვნელოვან ამოსავალ მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობოდა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, როგორც ეს აღწერილია 27ა პუნქტში.

დამატებითი ინფორმაცია (პუნქტი 42თ)

ბ39. 42დ-42ზ პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაციის გამჟღავნება შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს 42ბ პუნქტში ჩამოყალიბებული მიზნების მისაღწევად, ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში, საწარმომ უნდა წარმოადგინოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად. საწარმომ არსებული გარემოებების გათვალისწინებით უნდა გადაწყვიტოს, რა რაოდენობის დამატებითი ინფორმაცია უნდა წარადგინოს იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს მომხმარებლების საინფორმაციო მოთხოვნილებები და რა მნიშვნელობას ანიჭებს დამატებითი ინფორმაციის სხვადასხვა ასპექტს. აუცილებელია დაბალანსებულობის მიღწევა, რათა ფინანსური ანგარიშგება არ გადაიტვიტოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის

უსარგებლო ზედმეტი დეტალებით, ან ინფორმაციის ზედმეტი აგრეგირების გამო ფინანსური ინფორმაცია ბუნდოვანი არ გახდეს.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა (პუნქტები 13ა-13ვ)

მოქმედების სფერო (13ა პუნქტი)

- ბ40. ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით 13ბ-13ვ პუნქტების მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა ყველა აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომელთა ურთიერთ-გადაფარვა ხორციელდება ბასს 32-ის 42-ე პუნქტის შესაბამისად. გარდა ამისა, ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით 13ბ-13ვ პუნქტების მოქმედების სფეროს განეკუთვნება ისეთი ფინანსური ინსტრუმენტებიც, რომლებიც იურიდიული ძალის მქონე ურთიერთჩათვლის გენერალური შეთანხმების, ან სხვა მსგავსი შეთანხმების საგანია, რომელიც ანალოგიურ ფინანსურ ინსტრუმენტებსა და ოპერაციებს ეხება, იმის მიუხედავად, მათი ურთიერთგადაფარვა ხდება თუ არა ბასს 32-ის 42-ე პუნქტის შესაბამისად.
- ბ41. 13ა და ბ40 პუნქტებში ნახსენები ანალოგიური შეთანხმებები მოიცავს შეთანხმებებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვის შესახებ, უკუშესყიდვის გლობალურ გენერალურ („repo“) ხელშეკრულებებს, ფასიანი ქაღალდების სახით სესხის გაცემის გლობალურ გენერალურ ხელშეკრულებებს და შესაბამის უფლებებს ფინანსურ უზრუნველყოფაზე. ბ40 პუნქტში ხსენებული ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტები და ოპერაციები მოიცავს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, უკუშესყიდვის პირობით გაყიდვის ხელშეკრულებებს, სესხის აღების ხელშეკრულებებს ფასიანი ქაღალდების სახით და სესხის გაცემის ხელშეკრულებებს ფასიანი ქაღალდების სახით. 13ა პუნქტის მოქმედების სფეროს არ განეკუთვნება, მაგალითად, ერთი და იმავე დაწესებულების სესხები და კლიენტების დეპოზიტები (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მათი წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთიერთგადაფარვის საფუძველზე ხდება) და ასევე ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც მხოლოდ უზრუნველყოფის შესახებ დადებული ხელშეკრულების საგანია.

რაოდენობრივი ინფორმაციის გამჟღავნება აღიარებული ფინანსური აქტივებისა და აღიარებული ფინანსური ვალდებულებების შესახებ, რომლებიც განეკუთვნება 13ა პუნქტის მოქმედების სფეროს (პუნქტი 13გ)

- ბ42. ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის გამჟღავნება 13გ პუნქტით მოითხოვება, შეიძლება ეხებოდეს შეფასების განსხვავებული მოთხოვნები (მაგალითად, უკუშესყიდვის შეთანხმებასთან დაკავშირებით გადასახდელი თანხა შეიძლება შეფასებული იყოს ამორტიზებული ღირებულებით, ხოლო წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი - რეალური ღირებულებით). საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტები უნდა წარმოადგინოს აღიარებული თანხების მიხედვით და განმარტოს გამჟღავნებული ინფორმაციის შეფასებებში არსებული განსხვავებები.

ინფორმაციის გამჟღავნება აღიარებული ფინანსური აქტივებისა და აღიარებული ფინანსური ვალდებულებების მთლიანი თანხების შესახებ, რომლებიც განეკუთვნება 13ა პუნქტის მოქმედებს სფეროს (პუნქტი 13გ(9ა))

- ბ43. 13გ(ა) პუნქტით მოთხოვნილი თანხები დაკავშირებულია აღიარებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან, რომელთა ურთიერთგადაფარვა განხორციელდა ბასს 32-ის 42-ე პუნქტის შესაბამისად. 13გ(ა) პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია ასევე დაკავშირებულია აღიარებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან, რომლებიც ურთიერთგადაფარვას ექვემდებარება იურიდიული ძალის მქონე ურთიერთჩათვლის გენერალური შეთანხმების, ან სხვა მსგავსი შეთანხმების თანახმად, იმის მიუხედავად, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ურთიერთგადაფარვის კრიტე-

რიუმებს. თუმცა, 13გ(ა) პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია არ ეხება უზრუნველყოფის შესახებ დადებული შეთანხმებების შედეგად აღიარებულ თანხებს, რომლებიც არ აკმაყოფილებს ბასს 32-ის 42-ე პუნქტში განსაზღვრულ ურთიერთგადაფარვის კრიტერიუმებს. ამის ნაცვლად, მოითხოვება, რომ ამგვარი თანხების გამჟღავნება მოხდეს 13გ(დ) პუნქტის შესაბამისად.

ინფორმაციის გამჟღავნება თანხების შესახებ, რომელთა ურთიერთგადაფარვა განხორციელდა ბასს 32-ის 42-ე პუნქტში განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად (პუნქტი 13გ(ბ))

- ბ44. 13გ(ბ) პუნქტში ჩამოყალიბებული მოთხოვნების თანახმად, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს თანხები, რომელთა ურთიერთგადაფარვა განხორციელდა ბასს 32-ის 42-ე პუნქტში განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, როდესაც ადგენდა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილ ნეტო თანხებს. აღიარებული ფინანსური აქტივებისა და აღიარებული ფინანსური ვალდებულებების თანხები, რომლებიც ურთიერთგადაფარვას ექვემდებარება ერთი და იმავე ხელშეკრულების მიხედვით, უნდა გამჟღავნდეს შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით, რომლებიც დაკავშირებულია როგორც ფინანსურ აქტივებთან, ასევე ფინანსურ ვალდებულებებთან. ამასთან, უნდა გამჟღავნდეს (მაგალითად, ცხრილის სახით) მხოლოდ ის თანხები, რომლებიც ურთიერთგადაფარვას ექვემდებარება. მაგალითად, შეიძლება საწარმოს აღიარებული ჰქონდეს წარმოებული ფინანსური აქტივი და წარმოებული ფინანსური ვალდებულება, რომლებიც აკმაყოფილებს ბასს 32-ის 42-ე პუნქტში განსაზღვრულ ურთიერთგადაფარვის კრიტერიუმებს. თუ წარმოებული აქტივის მთლიანი თანხა მეტია წარმოებული ვალდებულების თანხაზე, ფინანსური აქტივის ცხრილში მოცემული უნდა იყოს წარმოებული აქტივის მთლიანი თანხა (13გ(ა) პუნქტის შესაბამისად) და წარმოებული ვალდებულების მთლიანი თანხა (13გ(ბ) პუნქტის შესაბამისად). მეორე მხრივ, ფინანსური ვალდებულებების შესაბამის ცხრილში მოცემული იქნება წარმოებული ვალდებულების მთლიანი თანხა (13გ(ა) პუნქტის შესაბამისად), მაგრამ წარმოებული აქტივის შესახებ ნაჩვენები უნდა იყოს მხოლოდ ის თანხა (13გ(ბ) პუნქტის შესაბამისად), რომელიც წარმოებული ვალდებულების თანხის ტოლია.

ინფორმაციის გამჟღავნება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილ ნეტო თანხებთან დაკავშირებით (პუნქტი 13გ(გ))

- ბ45. თუ საწარმოს აქვს ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაც ეხება ამგვარი ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები (როგორც მითითებულია 13ა პუნქტში), მაგრამ არ აკმაყოფილებს ბასს 32-ის 42-ე პუნქტში განსაზღვრულ ურთიერთგადაფარვის კრიტერიუმებს, თანხები, რომლებიც უნდა გამჟღავნდეს 13გ(გ) პუნქტის შესაბამისად, 13გ(ა) პუნქტის შესაბამისად გამჟღავნებული თანხების ტოლი იქნება.
- ბ46. აუცილებელია, ნაჩვენები იყოს 13გ(გ) პუნქტის შესაბამისად გამჟღავნებული თანხების შეჯერება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი ცალკეული მუხლის თანხასთან. მაგალითად, თუ საწარმო დაასკვნის, რომ ფინანსური ანგარიშგების ინდივიდუალური მუხლის აგრეგირება, ან დეზაგრეგირება უფრო შესაბამის ინფორმაციას უზრუნველყოფს, მან უნდა აჩვენოს 13გ(გ) პუნქტის შესაბამისად გამჟღავნებული აგრეგირებული თუ დეზაგრეგირებული თანხების შეჯერება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი ინდივიდუალური მუხლების შესაბამის თანხებთან.

ინფორმაციის გამჟღავნება თანხების შესახებ, რომლებიც ურთიერთგადაფარვას ექვემდებარება იურიდიული ძალის მქონე ურთიერთჩათვლის გენერალური შეთანხმების, ან სხვა მსგავსი შეთანხმების თანახმად, რომლებიც სხვა შემთხვევაში არ მოხვდებოდა 13გ(ბ) პუნქტში (პუნქტი 13გ(დ)).

- ბ47. 13გ(დ) პუნქტში ჩამოყალიბებული მოთხოვნების თანახმად, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს თანხები, რომლებიც ურთიერთგადაფარვას ექვემდებარება იურიდიული ძალის მქონე

ურთიერთჩათვლის გენერალური შეთანხმების, ან სხვა მსგავსი შეთანხმების თანახმად, რომლებიც სხვა შემთხვევაში არ მოხვედებოდა 13გ(ბ) პუნქტში. 13გ(დ)(i) პუნქტი ეხება ისეთ აღიარებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ თანხებს, რომლებიც არ აკმაყოფილებს ბასს 32-ის 42-ე პუნქტში განსაზღვრულ ურთიერთგადაფარვის ზოგიერთ, ან არც ერთ კრიტერიუმს (მაგალითად, ურთიერთგადაფარვის მიმდინარე უფლებები, რომლებიც არ აკმაყოფილებს ბასს 32-ის 42(ბ) ქვეპუნქტში განსაზღვრულ ურთიერთგადაფარვის კრიტერიუმს, ან ურთიერთგადაფარვის პირობითი უფლებები, რომლებიც იურიდიულ ძალას შეიძენს და განხორციელებადი გახდება მხოლოდ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ან მხოლოდ რომელიმე კონტრაქტის გადახდისუუნარობის, ან გაკოტრების შემთხვევაში).

- ბ48. 13გ(დ)(ii) პუნქტი ეხება თანხებს, რომლებიც დაკავშირებულია მიღებულ და გაცემულ ფინანსურ უზრუნველყოფასთან, მათ შორის, ფულად უზრუნველყოფასთან. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ისეთი ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც გაცემული, ან მიღებული იყო უზრუნველყოფის სახით. 13გ(დ)(ii) პუნქტის შესაბამისად გამჟღავნებული თანხები დაკავშირებული უნდა იყოს ფაქტობრივად მიღებულ, ან გაცემულ უზრუნველყოფასთან და არა წარმოქმნილ ვალდებულებასთან, ან მოთხოვნასთან, რომელიც აღიარებული იყო მიღებული ან გაცემული უზრუნველყოფის დაბრუნებასთან დაკავშირებით.

13გ(დ) პუნქტის შესაბამისად გამჟღავნებულ თანხებთან დაკავშირებული შეზღუდვები (პუნქტი 13დ)

- ბ49. როდესაც საწარმო ამზადებს ინფორმაციას, რომლის გამჟღავნება 13გ(დ) პუნქტით მოითხოვება, მან უნდა გაითვალისწინოს ფინანსური ინსტრუმენტით გადაჭარბებული უზრუნველყოფის შედეგები. ამისათვის საწარმომ, პირველ რიგში, 13გ(დ)(i) პუნქტის მიხედვით გამჟღავნებული თანხები უნდა გამოქვითოს 13გ(გ) პუნქტის შესაბამისად გამჟღავნებული თანხებიდან, ხოლო შემდეგ 13გ(დ)(ii) პუნქტის მიხედვით გასამჟღავნებელი თანხები უნდა შეზღუდოს 13გ(გ) პუნქტის შესაბამის, დარჩენილ თანხამდე შესაბამისი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. თუმცა, თუ შესაძლებელია, უზრუნველყოფასთან დაკავშირებული უფლებების გადატანა სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე, ამგვარი უფლებები შეიძლება ჩაირთოს 13დ პუნქტის შესაბამისად გასამჟღავნებელ ინფორმაციაში.

იურიდიული ძალის მქონე ურთიერთჩათვლის გენერალური შეთანხმების, ან სხვა მსგავსი შეთანხმებით გათვალისწინებული ურთიერთგადაფარვის უფლებების აღწერა (პუნქტი 13ე)

- ბ50. საწარმომ უნდა აღწეროს ურთიერთჩათვლის ან სხვა მსგავსი შეთანხმებით გათვალისწინებული უფლებების სახეები, რომლებიც უნდა გამჟღავნდეს 13გ(დ) პუნქტის შესაბამისად, მათ შორის ამგვარი უფლებების შინაარსი. მაგალითად, საწარმომ უნდა დაახასიათოს პირობითი უფლებები. ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, რომლებსაც ეხება ურთიერთგადაფარვის უფლებები, რომლებიც დამოკიდებული არ არის მომავლის მოვლენაზე, მაგრამ არ აკმაყოფილებს ბასს 32-ის 42-ე პუნქტით გათვალისწინებულ დარჩენილ კრიტერიუმებს, საწარმომ უნდა აღწეროს მიზეზ(ებ)ი, რატომ არ არის დაკმაყოფილებული ზემოაღნიშნული კრიტერიუმები. ნებისმიერ მიღებულ ან გაცემულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, საწარმომ უნდა აღწეროს უზრუნველყოფის ხელშეკრულების პირობები (მაგალითად, შეზღუდვები, რომლებიც ეხება უზრუნველყოფას).

ინფორმაციის გამჟღავნება ფინანსური ინსტრუმენტების ტიპების, ან კონტრაქტების მიხედვით

- ბ51. 13გ(ა)-(ე) პუნქტებით მოთხოვნილი რაოდენობრივი ინფორმაცია შეიძლება დაჯგუფდეს ფინანსური ინსტრუმენტების ტიპების, ან კონტრაქტების მიხედვით (მაგალითად, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, უკუშესყიდვის („repo“) ხელშეკრულებები, ფასიანი

ქალაქების სახით სესხის აღების ხელშეკრულებები და ფასიანი ქალაქების სახით სესხის გაცემის ხელშეკრულებები).

- ბ52. თუმცა, საწარმოს 13გ(ა)-(გ) პუნქტებით მოთხოვნილი რაოდენობრივი ინფორმაციის დაჯგუფება შეუძლია ფინანსური ინსტრუმენტების ტიპების მიხედვით, ხოლო 13გ(გ)-(ე) პუნქტებით მოთხოვნილი რაოდენობრივი ინფორმაციის დაჯგუფება კი კონტრაქტების მიხედვით. თუ საწარმო მოთხოვნილი ინფორმაციის გამჟღავნებას გადაწყვეტს კონტრაქტების მიხედვით, მას არ ევალება კონტრაქტების ვინაობის გამჟღავნება. თუმცა, ინფორმაციის შესადარისობის შესანარჩუნებლად კონტრაქტების კლასიფიცირება (ა კონტრაქტი, ბ კონტრაქტი, გ კონტრაქტი და ა.შ.) არ უნდა შეიცვალოს წლიდან წლამდე, ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი პერიოდების ფარგლებში. საწარმომ ასევე უნდა განიხილოს ხარისხობრივი (აღწერილობითი ხასიათის) ინფორმაციის გამჟღავნების მიზანშეწონილობაც, რათა შეძლოს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა კონტრაქტების ტიპების შესახებ. თუ საწარმო 13გ(გ)-(ე) პუნქტებით მოთხოვნილ ინფორმაციას კონტრაქტების მიხედვით წარმოადგენს, მან ცალკე უნდა აჩვენოს თანხები, რომლებიც ცალ-ცალკე მნიშვნელოვანია კონტრაქტის მთლიან თანხებთან მიმართებით, ხოლო დარჩენილი თანხები, რომლებიც ცალ-ცალკე უმნიშვნელოა კონტრაქტის მთლიან თანხებთან მიმართებით, უნდა გააერთიანოს და ერთი მუხლის სახით წარმოადგინოს.

სხვა ინფორმაციის გამჟღავნება

- ბ53. მოთხოვნები, რომლებიც ეხება ინფორმაციის გამჟღავნებას 13გ-13ე პუნქტების შესაბამისად, მინიმალური მოთხოვნებია. 13ბ პუნქტში ჩამოყალიბებული მიზნის მისაღწევად, შეიძლება აუცილებელი გახდეს დამატებითი (ხარისხობრივი) ინფორმაციის გამჟღავნება, რაც დამოკიდებული იქნება იურიდიული ძალის მქონე ურთიერთჩათვლის გენერალური შეთანხმების, ან სხვა ანალოგიური შეთანხმების პირობებზე, მათ შორის ურთიერთგადაფარვის უფლებების შინაარსსა და საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე მათ გავლენაზე, ან პოტენციურ გავლენაზე.